

საქართველო



IX წ.

საქართველოში გაზეთი.

IX წ.

№ 38.

კვირა, 16 სექტემბერი 1901 წელსა.

№ 38.

გაზეთის ფასი: ერთი წლით თფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კ.; თფილისის გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სამი თვით 2 მან., თითო ნომერი — სამი შაური.

სკლის მოწერა მიიღება: თფილისში — «წერა. კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» კანცელარიაში და «კვლის» რედაქციაში, თეატრის ქ., № 12. ტელეფონი № 734.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакция „КВАЛІ“.


შინაარსი: საქართველოს რუსეთთან შეერთება. — შინაური მიმოხილვა. — სხვა-და-სხვა ამბები. — კორესპონდენციები. — რუსეთის ცხოვრება. — საზღვარ-გარეთ. — როგორ იბუტებიან ცოლები (ბერნე-დან), იელისა. — * * *, ლექსი N-ისა. — საფრანგეთის ლიტერატურა. — კავკასიის გამოფენა. — ქართული თეატრი, მელიმანისა. — კავკასიის მებაღეთა კრება. — ურუნალ-გაზეთებიდან. — წერილი რედაქციის მიმართ. — «კვლის» რედაქციისაგან. — განცხადებანი.

საქართველოს რუსეთთან შეერთება.

ამა სექტემბრის 12 შესრულდა ასი წელიწადი მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა რუსეთის მეფის, იმპერატორ ალექსანდრე პირველის მანიფესტი, რომლითაც ქართლ-კახეთის სამეფო (დღევანდელი თფილისის გუბერნია) საბოლოოთ შეერთებულ იქმნა რუსეთის იმპერიასთან. ამ დღიდან იწყება სრულიად სხვა ხანა არა მარტო ყოფილ ქართლ-კახეთის სამეფოს, არამედ მთელი ამიერ-კავკასიის ცხოვრებაშიაც. ამიერიდან იწყება ძველი საქართველოს დარღვევა და ახლის შექმნა; აქ ევლება ხაზი საქართველოს წარსულ ცხოვრებას; აქ ჩაიყარა საფუძველი ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობათა განვითარებისათვის. ეს გზა დღეს უკვე განვლილია, და ამ ასი წლის ცხოვრება უკვე ისტორიას ეკუთვნის. სამწუხაროთ, ჯერ არ დაწერილა ამ ხნის პირუთვნელი და მიუდგომელი ისტორია, თუმცა ამ საგანზე აუარებელი მასალა არსებობს. რაც დღემდე ამის შესახებ დაწერილა, ან ცალმხრი-

ვია და ან ზედაპირს ეხება. მაგრამ ამ უამათ ჩვენ ეს არ გვინტერესებს, ჩვენ აქ გვსურს სქემატიურათ გავუთვალოწინოთ მკითხველებს, თუ როგორ მომზადდა და შემუშავდა 12 სექტემბრის 1801 წლის მანიფესტი.

ჩვენ აღამიდან არ დავიწყებთ, როგორც ეს ჩვეულებათ აქვთ ზოგიერთ ვითომ და ისტორიკოსებს. ვიტყვით მხოლოთ, რომ საქართველოს მეფეები რამდენიმე



საუკუნის განმავლობაში თხოვდნ რუსეთის მეფეთ შემწვობას და მფარველობას აუარებელ მტერთა წინააღმდეგ, რომლებიც საქართველოს გარს ეხვიენ. დიდ ხანს რუსეთს არც ეხერხებოდა და არც ცალოდა ამისთვის, თუმც დაპირებას არასოდეს არ აკლებდა. აქ მოვიხსენიებთ მხოლოთ 1783 წ. ტრაქტატს, რომლითაც ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიის მფარველობის (პროტექტორატის) ქვეშ იქმნა მიღებული... ამას შემდეგ 1795 წელს ქართლ-კახეთი ათხრებულ და განადგურებულ იქმნა ალა-მაჰმადხანის მიერ. ამ დროს საქართველო რუსეთის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა, მაგრამ ამ უკანასკნელმა მას ვერავითა-

ანა სტალი.

ფ. შატაბაიანი.

ალ. ლამარტინი.

ალ. მიუსსე.

რი დახმარება ვერ აღმოუჩინა. 1798 წელს 11 იანვარს გარდაიცვალა მეფე ერეკლე მეორე. მიუხედავად მისი პოლიტიკური გამჭრიახობისა და ნიჭისა, სახელმწიფო საქმეები მან აწეწილ-დაწეწილი დატოვა. მხნე, ენერგიული და გამჭრიახი კაცი კიდევ მოაგვარებდა საქმეს, მაგრამ მის მემკვიდრეს, უძლურს, ავათმყოფს და ყოველგვარ პოლიტიკურ გამჭრიახობას და ნიჭს მოკლებულს, გიორგი XIII, სახელმწიფოს მართვა და წინ გაძლიოდა არ ძალედა. ტახტზე ასვლისთანავე გიორგი XIII აცნობა რუსეთის იმპერატორ პავლე I თავისი გამეფება. რუსეთის იმპერატორმა წერილით მიულოცა მას გამეფება, მაგრამ ამასთანავე აცნობა, რომ თანახმათ 1783 წ. ტრაქტატის მესამე მუხლისა, საქიროა, რომ მან წარუდგინოს მას ფორმალური შუამდგომლობა დამტკიცებისთვის. 1789 წლის ნოემბრის თვეში მეფე გიორგიმ გაგზავნა პეტერბურგში თ-ლი ავალიშილი ასეთი შუამდგომლობისთვის. 1799 წელს 18 აპრილს უმაღლესი სიგელით მეფე გიორგი დამტკიცებულ იქმნა სამეფო ტახტზე და მისი შვილი დავითი მემკვიდრეთ. იმავე წლის ნოემბერში გიორგი XIII-მ ფიცი მიიღო რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე. ამავე დროს მოვიდა თფილისში რუსეთის მთავრობის წარმომადგენელი. მაგრამ ჯერ კიდევ, ე. ი. 1799 წლის დასასრულს, ქართლ-კახეთის სამეფო ხელუხლებელია, იგი მხოლოდ, თანახმათ 1783 წლის ხელშეკრულებისა, რუსეთის მფარველობის ქვეშ იმყოფება; საქართველო ჯერ კიდევ ითვლება ცალკე სამეფოთ, რომელსაც აქვს განსაზღვრული ტერიტორია და ყავს თავისი საკუთარი მეფე.

დაგრძობილი და ავათმყოფი მეფე გიორგი XIII გზავნის პეტერბურგში გიორგი ავალიშილს, ელიზბარ ფალავანდიშვილს და გარსევან ჭავჭავაძეს მოსალაპარაკებლათ საქართველოს რუსეთთან უფრო მჭიდროდ შეკავშირების შესახებ. დასახელებულ პირებმა შეიმუშავეს ნოტა *), თუ როგორ უნდა მომხდარიყო ეს შეკავშირება. ამ ნოტიო ქართლ-კახეთის სამეფო შედის რუსეთის იმპერიის მორჩილებაში (მუხლი I), მაგრამ ისე კი, რომ გიორგი XIII და შემდეგ იმისა მისი მემკვიდრენი ისევ სამეფო ტახტზე უნდა დარჩენილიყვნენ მეფის სახელით. (მუხ. 2). ე. ი. ამ ნოტიო საქართველოს მეფეს აქვს მხოლოდ აღმასრულებელი ძალა, ხოლო კანონმდებლობითი უფლება სულ მთლათ რუსეთის იმპერატორს ეთმობოდა. ეს ნოტა გარსევან ჭავჭავაძემ წარუდგინა იმპერატორ პავლეს 17 ნოემბერს 1800 წელს. იმპერატორმა მოიწონა იგი, რაც თვით იმპერატორმა აუწყა მეფე-გიორგის ბართით. მაგრამ რადგანაც ეს ნოტა პეტერბურგში იყო შედგენილი, ამიტომ იმპერატორის სურვილი იყო, რომ იგი ჯერ საქართველოში მიეღოთ და შემდეგ წარგზავნათ პეტერბურგში. ამ მიზნით საქართველოში, გაგზავნილ იქნენ ავალიშილი და ფალავანდიშვილი. ხსენებული თავადიშვილები გამოემგზავრენ საქართველოში. რომ ისევ პეტერბურგში დაბრუნებულიყვნენ, როგორც დესპანები შეფისაგან და ხალხისაგან წარგზავნილები.

15 ნოემბერს (1800 წელს), ე. ი. ორი დღის წინათ საქართველოს წარმომადგენელების მიერ ნოტის წარდგენამდის, იმპერატორი პავლე სწერდა გენ. კნორინგს, რომელიც კავკასიის საზღვარზე იმყოფებოდა ჯარებით, შემდეგს: ქართლ-კახეთის სამეფომ განაცხადა დამორჩი-

ლების სურვილი; ამიტომ საჩქაროდ შემატყობიე რამდენი ჯარის გაგზავნა შეგიძლია საქართველოში. შემდეგ: „მეფის გარდაცვალებისთანავე (რასაც დღევანდელზე მოვლოდენ, შევნიშნავთ აქ) გაგზავნე იქ ჩემი სახელით განცხადება, რომ ჩემი ნებართვის მიღებამდე სამეფოს მემკვიდრე არ დანიშნონ“. ამასთანავე გრაფი როსტოპჩინი იმავე კნორინგს წერდა, რომ „როცა დესპანები ისევ პეტერბურგში დაბრუნდებიან (რაც მისი აზრით 1801 წლის აპრილის თვეში უნდა მომხდარიყო) გენერალს უკვე შეუძლია დანიჭიროს ქართლ-კახეთის სამეფო ჯარებითა“. 18 დეკემბერს 1800 წ. ხელმოწერილ იქმნა მანიფესტი საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ, რომელიც გაგზავნა კნორინგს, რომ მას გამოეკვეყნებია იგი მეფე გიორგი XIII სიკვდილის დღეს. მაგრამ მეფემ დაასწრო საკვდილი: იგი გარდაიცვალა 28 დეკემბერს 1800 წელს, როცა კნორინგს მანიფესტი ჯერ კიდევ არ ჰქონოდა მიღებული. თფილისში ამ დროს იმყოფებოდა რუსის გენერალი ლაზარევი, რომელიც დებულობდა საქირო ზომებს, მაგ., მან დაატუსაღა თ-ლი ლეონიძე, რომელიც მისი აზრით, ხალხს აღელვებდა. ჩქარა დესპანებიც დაბრუნდნენ პეტერბურგიდან. იმათი აზრით, ქართლ-კახეთის სამეფო საბოლოოდ ჯერ კიდევ არ იყო შეერთებული რუსეთთან. ტახტის კანონიერ მემკვიდრეთ იმათ ბატონიშვილი დავითი მიაჩნდათ, თანახმათ იმპერატორ პავლეს სიგელისა. 15 იანვარს ბატ. დავითმა გამოსცა მოწოდება ქართლ-კახეთის ერის-დმი, რომელშიაც იგი აცხადებდა: „უმაღლესი ბრძანებით მე ვუახლოვდები საქართველოს ტახტს მემკვიდრეობით, როგორც მისი მმართველი. და რადგანაც საქირო იყო ეს მეცნობებია ჩემი ხალხისთვის, ამით ვაცხადებ, რომ მე მივიღე სამკვიდრო ტახტის გამგებობა“ **). მაგრამ სამი დღის შემდეგ, ე. ი. 18 იანვარს პეტერბურგში უკვე გამოკვეყნდა პირველი მანიფესტი საქართველოს შეერთების შესახებ; ეს მანიფესტი ერთი თვის შემდეგ, ე. ი. 16-17 თებერვალს გენ. ლაზარევის განკარგულებით წაკითხულ იქმნა თფილისის ეკლესიაში. ამნაირათ 1801 წელს 18 იანვარს ქართლ-კახეთის სამეფო გამოცხადებულ იქმნა უკვე რუსეთის ნაწილათ, მაგრამ კიდევ რამდენიმე თვემ გაიარა, სანამ ეს სისრულეში მოვიდოდა. ეს გარემოება იმით აიხსნება, რომ ამ მანიფესტის გამოცხადების შემდეგ იმპერატორ პავლეს დიდ ხანს აღარ უცოცხლია: იგი გარდაიცვალა 12 მარტს 1801 წელს, ასე რომ საქართველოს რუსეთთან შეერთების საქმე სავსებით წილათ ერგო მის მემკვიდრეს, იმპერატორ ალექსანდრე I-ს.

როცა იმპერატორი ალექსანდრე I ავიდა ტახტზე, საქართველო თითქმის შეერთებული იყო რუსეთთან, ე. ი. ეს სურვილი გამოცხადებული იყო მანიფესტში. მაგრამ ამის განსახორციელებლათ საქირო იყო მრავალი ზომები. ახალგაზდა იმპერატორი საქართველოს რუსეთთან შეერთებაში უსამართლობას ხედავდა ტახტის კანონიერ მემკვიდრეთა მიმართ. იმპერატორმა ეს საქმე გადასცა სახელმწიფო საბჭოს, რომელმაც გააჩნია იგი 11 აპრილის სხდომაზე. საბჭოს აზრით საქართველოს შეერთებას ორი მიზეზი ჰქონდა: ერთი ისა, რომ გრაფ მუ-

*) АКТЫ Арх. ком., т. I, гл. 179—181.

**) АКТЫ, т. I, гл. 297.



სინ-პუშკინის მოხსენებით, საქართველო მდიდარი იყო სხვა-და-სხვა მადნებით; მეორე ის, რომ მეფე გიორგის სურვილი იყო, რომ საქართველო შეერთებოდა რუსეთს, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში მას დაღუპვა მოელოდა. ალექსანდრე I არ დაკმაყოფილდა საბჭოს მსჯელობით. 15 აპრილს საბჭო ზელ-ახლა შეიკრიბა. თუმც ისევ წინანდელ აზრზე გაჩერდა. მაგრამ ახლა მან მისცა იმპერატორს შემდეგი წინადადება: გენერალ კნორრინგს ებრძანოს საქართველოში წასვლა და ადგილობრივ გამოიძიოს: 1) შეუძლია თუ არა საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთ ყოფნა; და 2) ხალხს სურს თუ არა რუსეთის ქვეშევრდომობა. იმპერატორი დათანხმდა ამ წინადადებაზე და კნორრინგი გაიგზავნა საქართველოში. კნორრინგი მოვიდა თფილისში 22 მაისს და 28 ივლისს 1801 წ. უკვე წარუდგინა იმპერატორს თავის მოხსენება, რომლითაც ურჩევდა მას საქართველოს სრულ შეერთებას, რაც უმადლესათ დამტკიცებულ იქმნა შემდეგ. მაგრამ საინტერესოა ის, რომ სახელმწიფო საბჭოში მოიპოვებოდნენ ისეთი პირები, რომლებიც საქართველოს რუსეთთან შეერთების წინააღმდეგნი იყვნენ. ესენი იყვნენ: გრაფი ა. ვორონცოვი და გრაფი ვ. კოჩუბეი, რომლებმაც მიაჩნდნენ იმპერატორს თავისი უქვეშევრდომილესი მოხსენება ამ საქმეზე. იმათი აზრით, საქართველოს რუსეთთან შეერთება სრულებით უსარგებლოა და საზარალოც იქნება ორივე ქვეყნისთვის. შემდეგ, 8 აგვისტოს, მოხდა სახელმწიფო საბჭოს უკანასკნელი სხდომა საქართველოს შესახებ. საბჭოს უმრავლესობამ გადაწყვიტა საქართველოს შეერთება, და იმპერატორმაც მისცა ამ გადაწყვეტილებას უმადლესი სანქცია. 12 სექტემბერს, როგორც ვთქვით, ქ. მოსკოვში გამოიცა მანიფესტი, რომლითაც საქართველო საბოლოოთ შეუერთდა რუსეთს. შეიძლება თვის შემდეგ, ე. ი. 12 აპრილს 1802 წ., ეს მანიფესტი გამოქვეყნებულ იქმნა თფილისში. იმავე დღეს დაფიცებულ იქმნენ ახალი წესწყობილების ერთგულებაზე ბატონიშვილები, კათალიკოზი და შემდეგ მთელი ერი.

1802 წლის 8 მაისს გახსნილ იქმნა თფილისში საქართველოს უმაღლესი მთავრობა (Верховное Грузинское Правительство), რომელიც შესდგებოდა ოთხი ექსპედიციისაგან. საქართველოს პირველ მთავარ სარდლათ დანიშნულ იქმნა გენ. კნორრინგი, რომლის ხელში იყო უმაღლესი სამხედრო და სამოქალაქო უფლება. საქართველოს სამოქალაქო უწყების მმართველათ დანიშნულ იქმნა კოვალენსკი, რომელიც მეფე გიორგი XIII დროს იმპერატორ პავლეს წარმომადგენელათ ითვლებოდა საქართველოში. ორივე ეს პირი ჩქარა დათხოვნილ იქმნენ თავიანთ თანამდებობიდან უმაღლესი მთავრობის განკარგულებით.

შინაური მიმოხილვა.

ჩვენმა საიუბილეო გამოფენამ ბევრი იმედი გაგვიცრუა და დღეს ყველა იმას ამბობს, რომ იმის მეთაფიც კი ვერ მოგვცა, რაც უნდა მოეცაო, მაგრამ თუ მისი მიზეზით გამოწვეული პრესის მოღვაწეთა კრება მაინც მოხდა, რომლისთვისაც ემზადებან ჩვენი ჟურნალისტები, მართა ამისთვისაც კეთილათ მოსახსენებელი შეიქნება ეს

გამოფენა. კავკასიის ჟურნალისტთა კრება იქნება რუსეთში პირველი ამგვარი, საკუთრივ ჟურნალისტებს ჯერ თავი არ შეუყრიათ და საერთო ქირ-ვარამზე არ ქონიათ მსჯელობა, და ამ კრებაზე ჩვენ გვექნება შემთხვევა გაცივრით მათი მდგომარეობა. როგორც რედაქციების წარმომადგენელთა პირველი კრების მიერ შედგენილი პროგრამიდან ჩანს, მომავალ საერთო კრებაზე უკუ-რადღებოთ ტოვებენ ჟურნალისტთა მატერიალური მდგომარეობის კითხვას, რაიცა, გვეგონია, გამოწვეულია მით, რომ თფილისში არსდება «ბექლვითი სიტყვის მოღვაწეთა საერთიერთო დამხმარებელი საზოგადოება», რომლის მიზანია სწორეთ ამ მხარეს მოუაროს თავი. განზრახული დაწესებულება, რომლის პროექტი უკვე შემუშავებულია და „Кавк. Вѣст.“-ის უკანასკნელ №-ში მოყვანილი, მეტი სიმპატიურია, მისი მოქმედება მეტათ თვალსაჩინო იქნება, მაგრამ რამდენათაც ვიცით არც ამ პროექტის შემდგენელთ ქონიათ დაწვრილებით შესწავლილი ჩვენი ჟურნალისტების მატერიალური მდგომარეობა, და ყველა მონაწილენი საყოველთაოთ ცნობილი ზოგადი გაჭირვების მიხედვით მოქმედებდნენ. ამიტომ ძალიან საქირთა მომავალ საერთო კრებაზე ამ კითხვაზეც იქნეს მსჯელობა და იგიც გათვალისწინებულ იქნეს. ნამეტურ საინტერესო იქნება ცნობები ქართულ და სომხურ გამოცემათა შესახებ, რომლებში მომუშავენი მოთხოვნითა შეპირებაში საკვირველ უნარს იჩენენ. მეტათ საქირთა და სასარგებლო იქნებოდა საზოგადოთ ბექლვითი სიტყვის ჩვენ ში მოღვაწეთა მდგომარეობას გაგვითვალისწინებდეს მომავალი კრება, მაგრამ რადგან ცოტა დრო ექნება, შესაძლებელია ეს ვერ მოასწრონ, და საკუთრივ ჟურნალისტების მდგომარეობა მაინც უნდა გავიცნოთ.

ყველა პროგრამაში შეტანილი კითხვები მეტათ დიდ-მნიშვნელოვანია ჩვენი პროვინციის გამოცემათათვის, და ყოველი ამ კითხვათა შესახები უშამდგომლობათა დაკმაყოფილება საგრძობლათ წაწვეს წინ პრესას და დაუახლოვებს მიზანს, რომელსაც ასე თავგამოდებით ემსახურება იგი. პრესას უკეთესს პირობებში ჩადგომა მთელი საზოგადოების წინსვლის მაჩვენებელია და დავგრჩენია მხოლოთ ვისურვოთ განზრახული კრება ნებადართულ იქნეს და მისი უშამდგომლობანი შეწყნარებული.

* * *

ჩვენი სოფლის ერთ-ერთ საქირბოროტო კითხვას მისი ადმინისტრაციული მოუწყობლობა წარმოადგენს. მართალია, სოფელს აქვს თავისი თვითმართველობა, სასამართლო, მაგრამ ისიც ვიცით, რომ ამ თვითმართველობაში თვით სოფელი ძალიან ნაკლები მონაწილეა. მისი ტონის მიმცემი სოფლის ჩარჩი მიკიტან-მედუქნებია, რასაც ძალიან უწყობს ხელს დაბალი ადმინისტრაციის უვარგისობა. არა ნაკლებ ბოროტებას წარმოადგენს სოფლის მწერალიც, რომელმაც საპატოო ადგილი დაიქირა ჩვენ ლიტერატურის ტიპებში. ამ მწერალთა „მოღვაწეობის“ ერთი მაგალითი მოყვანილია «ცნ. ფურც.» № 1576-ში. აქ ჩვენ ვხედავთ როგორ სათამაშოთ აქვთ სოფლის მწერლებს საზოგადოების, ყრილობის დადგენილება, და როგორ ადვილათ ახერხებს სრულიად გვერდო აუაროს სოფელს, მისი განაჩენი უმისოთ შეადგინოს. და ეს არა პირველი და უკანასკნელი მაგალითი არის და იქნება, სანამ განზრახული ცვლილება არ განხორციელდება მწერალთა ინს-

ტიტუტის შესახებ, და ამ მცირე, მაგრამ პასუხის საგებელ თანამდებობაზე მოწვეულ არ იქნებიან უფრო პატოსანი და შეგნებული პირები. სანამ ეს ცვლილება არ მოხდება, ყოველთვის შევხვდებით სოფლის განაჩენებზე ხელ მოწერილ მკვდრის სულებსაც, როგორც დ. ზუგდიდის მოუვიდა.

* * *

სხვათა შორის ერთი მეტათ სამწუხარო ზნე დაჩემდა ჩვენ საზოგადო დაწესებულებათ: არასოდეს პირველი კრება არ დგება, და ისე შევეჩვიეთ ასეთ წესს, რომ კანონიერათ მიგვაჩნია და ვისაც აინტერესებს ისიც კი არ მიდის, იცის ტყუილა უბრალოთ დაკარგავს დროს. რასაკვირველია, ეს საზოგადოების იმ დაწესებულებათადმი გულგრილობის მაჩვენებელია და სამწუხაროა, მაგრამ კიდევ უფრო სამწუხაროა, როცა ეს ისეთ სიმპატიურ საქმეს და კრებულს ემართება, როგორც საკვირაო სკოლების მეთაურნი არიან. „7 სექტემბერს დანიშნული მასწავლებელთა კრება საკვირაო სავაუო და საქალო სკოლების დაარსების შესახებ მოსალაპარაკებლათ არ შედგა, რადგან კრებას ოთხი-ხუთი კაცის მეტი არავინ დაესწროვო“ — წერენ ყოველდღიური გაზეთები, და გულს ტყვიასავით ხედება ეს ამბავი. ნუ თუ აქაც იჩინა თავი საქმისადმი გულგრილობამ, აქაც ოფიციალურ მეორე «კანონიერ» კრებას უნდა ვუცადოთ?! თუ ასეა, და ასე გულგრილოთ მოეკიდებიან საქმეს, ჯობს სულ თავი დაანებონ. უმთავრესათ ეს საქმე უნდა აინტერესებდეს მასწავლებლებს და ახალგაზრდობას და ნუ თუ ამ უზარმაზარ ქალაქში ოთხი-ხუთი თანამგრძობელის მეტი არ აღმოუჩნდა ასეთ სასარგებლო და მნიშვნელოვან საქმეს?! ამ საქმეში გულგრილობა სხვას არა გავს და მეტათ სამწუხარო იქნება, თუ მეტი თანაგრძობა ვერ გამოიწვიეს საქმის დამწყებთ. ეს იქნება ჩვენი საზოგადოების სრული გათახსირების მაჩვენებელი.

სხვადასხვა ამბები.

თანახმათ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტის, ბ-ნ სულთან-კრიმ-გირეის წინადადებისა, 8 სექტემბერს ქურნალ „Кавк. Вѣст.-ს» რედაქციაში სხდომა ჰქონდათ ადგილობრივ პერიოდულ გამოცემათა რედაქტორებს იმ პროგრამის შესამუშავებლათ, რომელიც უნდა წარედგინოს განსახილველათ ადგილობრივ პრესის წარმომადგენელთა მომავალ კრებას. სხდომაზე აღნიშნულ იქმნა შემდეგი კითხვები, რომლებიც უნდა წარედგინონ მომავალ კრებას.

- 1) ნაკუთრებულ ცენზორის დანიშვნა იმ ქალაქებში, სადაც ცენზორობა ევალება ადმინისტრაციის მოხელეს;
- 2) მიეცეს ადგილობრივ გაზეთებს ნება უცენზუროთ გადმობეჭდონ მთავრობის გამოცემებიდან წერილები და ამბები;
- 3) მოისპოს წინა ცენზურა და შემოღებულ იქნას ის წესები, რომელთა მიხედვით იბეჭდებიან სატახტო ქალაქების გაზეთები;
- 4) მიეცეს გაზეთებს ნება უცენზუროთ ბეჭდონ საღამოს ამბები;
- 5) პეტერბურგში ნებადართულნი კერძო დეპეშები უცენზუროთ იბეჭდებოდნენ აქაურ გაზეთებში;
- 6) „რუსეთის დეპეშათა სააგენტოს» განყოფილება არსდეს თფილისში;
- 7) მოწესრიგდეს გაზეთების გაბეჭდვით და მათი ხელის მომწერთათვის;
- 8) მოწესრიგდეს ადგილობრივ გამოცემათა დასჯის საქმე.

9) შეატყობინონ ზოლმე ადგილობრივ რედაქციებს ყველა ის ცირკულიარები, რომელთაც ბეჭდვითი საქმის სამართიელო გზაენის; 10) დაარსდეს თფილისში ასოთ-ამწყობათა სკოლა; 11) მოწესრიგდეს რედაქციებს შუა ურთიერთობა და 12) ნება დართულ იქმნან ადგილობრივ მწერლობის მუშაკთა დრო-გამოშვებითი კრებანი.

გამოფენის გახსნის პირველ დღიდან 12 სექტემბრამდის შემოსულა სულ ბილეთის გაყიდვით 9,477 მ. 40 კ.

ქალაქის საბჭოს ხმოსანთა არჩევნებზე კავკასიის მთავარ-მმართველის განკარგულებით ქალაქი გაიყო სამუხნათ, და თვითველ მათგანში ცალ-ცალკე იქნება არჩევნები.

მოგვყავს ამომრჩეველთა რუსეთი ეროვნების მიხედვით. პირველ საარჩევნო უბანში: რუსები 445, სომხები 585, ქართველები 331, მაჰმადიანები 16, დანარჩენი ეროვნებისა 69, სულ 1446 კაცი. მეორე საარჩევნო უბანში რუსები 104, სომხები 961, ქართველები 176, მაჰმადიანები 88, დანარჩენი ეროვნებისა 21, სულ 1350 კაცი. მესამე საარჩევნო უბანში რუსები 541, სომხები 526, ქართველები 341, მაჰმადიანები 20, დანარჩენი ეროვნებისა 172, სულ 1606. ამ კითხვებიდან ჩანს, რომ ყველა ერებთან შედარებით სომხებს ეყუთენის ყველაზე მეტი საარჩევნო ხმა.

კავკასიის ექიმების მომავალ კრების მომწყობ კომისიას, სხვათა შორის, შეუკრებია ცნობები კეთრის გაერცვლების შესახებ კავკასიაში. ამ ცნობებიდან ჩანს, რომ ეს ავადმყოფობა თანდათან ვრცელდება კავკასიაში და მის წინააღმდეგ კი არავითარი ზომები არ არის მიღებული აქნობამდე.

ქალთა საექიმო ინსტიტუტსა და უმაღლეს საქალეზო-კურსების ღარიბ კავკასიელ მოსწავლეთა დასახმარებლათ წარდგენილი პროექტი შინაგან საქმეთა სამინისტროს არ დაუმტკიცებია.

30 სექტემბერს მოხდება თბილისში კავკასიის ექიმთა კრება.

ქართული სახალხო წარმოდგენები ავქალის თეატრში დაიწყება 20 სექტემბერს.

როგორც ქალაქის თვითმმართველობის მიერ შეკრებილ ცნობებიდან ჩანს, თფილისში 1,400 ძალს დაედება გარდასახალი ქალაქის სასარგებლოთ.

ხალხისათვის საიუბილეო დღესასწაულის გასამართვით განუზრახავთ გადასდონ 13 ათასი მანეთი ქალაქის თანხიდან.

ახლათ გახსნილ თფილისის სამხატვრო სასწავლებელში სწავლა დაიწყება 20—25 ოქტემბრამდე. სასწავლებელში შესვლის სურვილი განუცხადებია აქნობამდე 66 კაცს; მათ შორის მომეტებულთ დასრულებული აქვთ



საშუალო სასწავლებელი. ამ სასწავლებელში კურს შესრულებულთ ნება აქვთ შევიდნენ უფლებამოსილ საიმპერატორო სამხატვრო აკადემიაში. სასწავლებელი მიიღებს 200 შეგირდს, მათ შორის მომავალი წლიდან სწავლის ფულს არ გადაახდებიან 50 კაცს. სასწავლებელს ეძლევა დახმარება — ხაზინიდან 7,000 მანეთი და ქალაქის მხრით 2,000 მანეთი.

ქუთაისის სასოფლო სამეურნეო სკოლის გამგე გვთხოვს გამოცხადდეთ, რომ ხსენებულ სკოლაში მისაღები ეგზამენები დაიწყება 20 სექტემბერს.

ჩვენ უკვე მოხსენებული გვქონდა, რომ თუილისში დაარსდა ნოქართა საურთიერთო დახმარებელი საზოგადოება. ამ ქმართ ხსენებულ საზოგადოებას უკვე დამტკიცებული წესდება აქვს და მისი ხელმძღვანელები, როგორც ჩანს, მხნეთ და ენერგიულად შედგომიან საქმეს. იმათ ცდას ამათ არ ჩაუვლია და არ დარჩენილა «ხმათ მღალადებლისათ უდაბნოსა შინა». გახეთ „ნოვ. ობოზ.“-ს სიტყვით, ამ ქმართ მათ უკვე ხელთ აქვთ წესდება და საზოგადოების ორგანიზაციასაც შეუდგენ. შეგნებულ ნოქართა ცდას ამათ არ ჩაუვლია: მათი მოწოდება არ დარჩა უყურადღებოთ, 200-ზე მეტი ნოქარი ჩაწერილა ახლათ დაარსებულ საზოგადოებაში. საზოგადოების მოზანია ნოქრების ურთიერთ დახმარება არა მარტო ნიუთიერათ, არამედ სულიერათაც. პირველ საგნის განსახორციელებლათ ის გაიჩინეს საურთიერთო დახმარების კასსას, რომლიდან ნოქარს შეეძლება ერთ-დროებრივ შემწეობისა და პენსიის მიღება. მეორე საგნის მიღწევას კი საზოგადოება ეცდება სკოლის, ბიბლიოთეკის და სხვა ამგვარ დაწესებულებების დაარსებით.

ქუთაისის ნოქრებმა ეს საქმე უფრო გვიან დაიწყეს. მათ პირველი კრება შალოთ 28 აგვისტოს ჰქონდათ. კრებაზე აირჩიეს საორგანიზაციო კომიტეტი, რომელმაც თავისი მოსაზრებანი ამ მოკლე ხანაში უნდა წარუდგინოს საზოგადო კრებას. უეჭველია, ქუთაისის ნოქრებიც ისე ფართოთ შეხედვენი თავის საქმეს, როგორც თუილისისა და ისე ენერგიულათვე შეუდგებიან საქმეს.

ყურნალ «კავკ. ვესტნიკ»-ის რედაქტორათ დაუმტკიცებიათ მისი გამომცემელი ბ-ნი ვ. დ. ყორღანოვი.

ჩვენ მივიღეთ შემდეგი გამოცემა: З. Аваловъ. «Присоединение Грузии къ Россіи». СПб., თასი 1 მან. 50 კაპ.

კორესპონდენციები.

ბათუმი. აქურ უმეტესობის სატყუას საქმემდე იშვიათათ მიუღწევია: მართლდა, უოფილა შემთხვევა, რომ ეს უკანასკნელი ე. ი. სატყუას საქმეო ეტყვიათ, მაძა ამ გვარი მოკლენა ძლიერ იშვიათია აქურ ცხოვრებაში, და ესეც შემთხვევას უნდა მივაწეროთ და არა საზოგადო საქმის სიუვარულს, რადგან საზოგადო სასიათის საქმეს ძლიერ ერთს თუ ორს შესვლებით აქ, მიუხედავათ იმისა აუცილებელი საჭიროებისა. სხვა არა იუოს რა, ვშიშობ ხანსა არ მოკვიდოთ უსაქალობით აქურ შეგნებულ პირთ; კიდევ კარგი, რომ კარტი და

სხვა ამ გვარი გასართობები საკმაოთ ხმარებაშია აქ, თვარა შენი მტერი, დაინოცებოდენ სწორეთ. უსაქმობა, მამ რა უნდა უწოდოთ, რომ ამოდენა ქალაქში არ არის: არც თუატრი, არც სახალხო კითხვები, არც იაფ ფასიანი სახალხო წარმოდგენები იმართება და არც სხვა რამ ამგვარი... აქვთ მსოფლიოთ ერთი სახალხო ბიბლიოთეკა-სამკითხველო, ისიც კერძო პირთა შემეურება, მათ მოკლა-პატრონობა-არსებობასკა, სადაც მკითხველი მუდამ ბუხივით ერევა შიგ, მაძა რას გასდება ერთი სამკითხველო და ისიც ქალაქის ერთ კუთხეში მოთავსებული!

მიმდინარე წელს კრებას კრებაზე მართავდენ აქ; ეს მუდმივი დასი შეკადგინოთ სტენის მოყვარულთა და წარმოდგენები გამართოთ, ეს სახალხო კითხვები და იაფ ფასიანი სახალხო წარმოდგენებიო და სს. ორთავე ძლიერ სიმშატიური საქმეა. როგორც ვიცით პირველმაც და მეორემაც ამოიჩინეს „რჩეულნი“ საქმის მოსაწეობათ. პირველის მოქმედებაზე არა ვიცით-რა, ხოლო მეორემ-ვი მიიღო ნუბართკა მთავრობისაგან, მაძა როგორც უოველ საქმეს აქ, მგონი, ამის განსორციელებასაც ალოდინონ რამოდენი წელი, და მერე ვინ იცის კიდევ რა გამოდგება შიგ... სასურველია, რომ პატრივტიკულნი ამ საქმის ინიციატორები ერთსულ კვლავ მოიკრებდენ ძალას და სატყუას საქმესაც მიაყოლებდენ.


ამ ორი წლის წინათ, როგორც მოესენება პატრივტიკულ მკითხველთ, სახალხო ბიბლიოთეკა-სამკითხველო დაარსეს აქ, მის წარსულ ისტორიასაც გაცნობილია მკითხველი. ახლა შეგვიძლია გაუწეოთ მარტო ის, რომ ამ ახლო მომავალში უნდა მოხდეს სამკითხველოს გამკემრუნველთა არჩევა, რადგან კარგა ხანია რაც მათი—საზოგადოების მინდობით—ზრუნვა-გამგეობის ვადა გათავდა. მე აქ ვამბობ საზოგადოების ნდობით ზრუნვა-გამგეობას და არა მასე გულშემატკივრობას, რაც უოველი რიგიანი ადამიანის ვალდებულებაა.

კარგი იქნება, რომ კრება და არჩეულნი პირნი არ დაივიწყებდენ ბარცხანას, სადაც ხალხის უმეტესობის საცხოვრებელი ალგია, და რაც მოკლებულია უოველ გონების საწვრთნელ წყაროს. დას, კარგი იქნება, რომ ბარცხანაში განსნიდენ სამკითხველოს განყოფილებას; მარტო განყოფილებას, რადგან ბიბლიოთეკით იქიდანც შეიძლება სატყუებლობა. ეს მართლაც ერთი აუცილებელ საჭიროებათაგანია ბარცხანელთა, და იმედია საზოგადოების გულ შემატკივარნი პირნი არ დასტოვებენ ამ საქმეს უყურადღებოთ. სამკითხველო ბარცხანლების წინსვლადობას ძლიერ შეუწეობს სელს, რადგან ახლა იქ რამოდენიმე პირთა მაცადინეობით საკვიარო სკოლა არსებობს.

აქ, ე. ი. ბარცხანაში, წელს მუშაობა ძლიერ განაღებულა, ასე რომ ზაფხულში მუშა სელის მოთხოვნილება თითქმის სტარბობდა წინადადებას, ნამეტურ ისეთ ალგებში, სადაც შრომა უფრო ძნელი ასატანია, მაძა მიუხედავათ ამგვარი პირობებისა არც „ერთს“ და არც «მეორეს» მის გაუმჯობესობაზე არა უფიქრიათ-რა...

უარყოფილი.

ბ. სიღნაღი. ამ თვის 4-ს ცოტაოდენი ხალხი მოაწედა სიღნაღის თვითმმართველობის სადგურს, და ისიც უმაწვილ კაცობა. მიზეზი ამ უჩილობისა განლდათ ქალაქის სტაროსტის ამოჩხევა. აწ მყოფმა ქალაქის სტაროსტამ ს. ა. აჯაქომა განსნა კრება 8 1/2 საათზე. განსსიალველ საქმეთა შორის უფრო საინტერესო იყო სტაროსტის და მის თანაშემწის არჩევა.



ქალაქის თავმა ს. ა. ტერ-ავაქიანმა მიმართა სმოსნებს: „ბატონებო, იცით თქვენ რისთვისაა ხართ აქ მოწყველნი? თქვენ უნდა ამოიხილოთ, რასაკვირვებია, თქვენს შორის ქალაქის თავი. და თქვენ ნუ დაივიწყებთ ქალაქ სიღნაღის მდგომარეობას, ვაჭრობა დაწყებულია, ქალაქიც ღარიბია და ეცადეთ, რომ ღირსეული კაცი ამოიხილოთ. ნუ მისჯდათ ნურც მეზობლებს, ნურც მეგობრობას“. ბატონებით დასასჯელს 8 კანდიდატი: 1) ს. ა. ტერ-ავაქიანს 12 თეთრი და 3 შავი, 2) ვ. ი. ენიგოლოზის 13 თ. 2 შავი, 3) ი. სავარდის 8 თ. 7 შავი, 4) ნ. ამირსანოვის 9 თ. 6 შავი, 5) ვ. ავაქიანს 1 თ. 14 შავი, 6) წ. ლიანოზის 1 თ. 14 შავი, 7) ა. თაიროვის 4 თ. 11 შავი. ყუთი დაიდგეს კარონ ენიგოლოზისა და ნიკ. ამირსანოვისა. ენიგოლოზისა მიიღო 12 თ. და 3 შავი კენჭი. ნ. ამირსანოვისა 8 თ. 7 შ. ნ. ტერ-ავაქიანს 6 თ. 10 შ. (იქ არ უფიქროვია) შემდეგ ამისა კრება შეუდგა თანაშემწის ამოიხილეს. ბატონებით დასასჯელს 9 კაცი; ყუთი დაიდგეს: 1) არ. თაიროვისა—ამოვიდა 7 თ. 7 შ. 2) ტერ-ავაქიანს—7 თ., 8 შ. 3) ს. მ. ამირსანოვისა—6 თ. 10 შ. მაგრამ დიდი ხანსა გამოიწვია იარაღის ყუთი, არ ვიცით რა მიქანებით ერთი კენჭი დაიხილეს მადლა, იარაღმა ითხოვა სულმორეთ კენჭის ურთა, დაუდგეს სულმორეთ ყუთი, მაგრამ იმის ბედზე ერთი სმოსანი აღარ აღმოჩნდა კრებაში, ამ სმოსანმა ჩააგდო თუ არა კენჭი, მაშინათვე მოკურცხლა შინისკენ. მაინც უფარეს კენჭი და ისევ ამოვიდა 7 თ. 7 შ. არც სულ დასთანხმდა, და დაიყენა თუ ნ. დ. (სმოსნის სახელია) აქ იქნებოდა. ის იმედი მძკეს თეთრს ჩამოგდებდა და გაეთეთრებოდა. ამ ჭიჭყინმა თავი გაიტანა და გადადეს თანაშემწის ამოიხილა შემდეგისათვის.

ქართული.

ირაკლიანის. ირკუტსკში ქართველები თითქმის ას სულამდე იქნება და, როგორც წინათ ვწვდით, იმათში რომლებსა იმე ნაწილი კარგა შეძლებულნი არიან. მაგრამ სამწუხაროთ ჩემდა, უნდა ვთქვა, რომ ამათ არავითარი ჭკუა-გონების გამოვარჯიშებული დაწესებულება არ მოეპოვებოთ. ბ-ნი ავაკი ამბობს ერთ ადგილას, რომ „რაც ჩვენში ტუეილა უბრალოთ ღვინო შეისმება, ის რომ ფულათ ვაჭროთ და ჩვენი შეიღებოს სწავლა-განათლებას მოკავშიროთ, უსწავლი არავინ დარჩება“. და მეც ვიტყვი, რომ რასაც აქ ქართველები ტუეილა უბრალო საქმეში ფულებს აქრობენ, იმისი მათედი ნაწილი რომ დასარჯონ, ერთ რომელიმე უსაჭიროეს დაწესებულებას ეღიკება ირკუტსკის ქართველი საზოგადოება. რა არის უსაჭიროესი ირკუტსკის ქართველი საზოგადოებისთვის?.. ჩემი შესჯდულებით, თემცა საჭიროება ბევრია, მაგრამ უმთავრესათ-ვი ქართულ-რუსული უფასო წიგნთსაცავ-სამკითხველო. რომ ქართველებში კითხვის სურვილი თანდათან იღვიძებს, ეს იქიდან ჩანს, რომ ამ სამი თვის განმავლობაში უკვე სამს მოუდის ქართული გაზეთი და ჟურნალი და როცა მოუვას სსკები წავითხვას არ ცდიან ისე აგლეჯენ სელიდან, რადგანც ვეუღას უნდა წავითხვას და ჩვენებური ჭირ-ვაკამი გაიგოს. აქ ოთხი შეძლებული ქართველია, რომელთაც სსკა ქართველებზე განმავლობა აქვთ და თუ ისინი იკისრებენ ამ კეთილ საქმეს, მათ ადვილათ შეუძლიათ დააკვირდნენ იგი. ესენი არიან: ვ. ტურკია, ჯ. ჩაქვანი, ვ. დადიანი და დ. ასმაღოვი.

ირ. ალ. გოგოლაძე.

მოკლული. ქობულეთი მდებარეობს შავი ზღვის სანაპიროს კარს ოცდასუთი კურსის მანძალზე ქ. ბათუმთან. მისი გეოგრაფიული მდებარეობა სწორეთ რომ შესაძლებელია. შავის ზღვის სიანლოვე და რეინის გზა, რომელიც ორ ნაწილათ უფოს აქაურ მცხოვრებთ, შესაძლებელათ უადვილებს მათ, რომ დაძოვიდებულეს იქონიონ ქალაქთან; ამიტომაც აქაური მკვიდრნი სშაართ მიდიან ბათუმში და სსკა ქალაქში სამეშაოთ. აგრეთვე ბევრნი მიწათ მოქმედებანაც მისდევენ. მკვიდრთა უმეტესი ნაწილი გათათრებულა ქართველებია. არიან აგრეთვე ბერძნებიც. ქართული ენა ყველამ კარგათ იცის. თუმცა დღევანდელმა ცხოვრებამ მათიანც შეარყია ძველი ტრადიციები, მაგრამ ვერ მანც შოკს არიან იქამდის, რომ ერთიანათ უარ უონ ძველი უვარგისი ჩვეულებები, მაგალითათ ქალები აქ ძველებურათ ჩაკტილია სსკში და თუ კარგთ გამოდინ ოდესმე, მაშინაც ვირი ჩადრით აქვთ ასვეული.

ასკობოს აქ ერთი ორკლასიანი ნორმალური სასწავლებელი, რომელშიც სწავლა რუსულ-ქართულ-თათრულ ენებზე სწავლობენ. არის საზოგადოებრივი თეატრი, მაგრამ ეს მოაგარაკეთათვის უფროა, ვინც აქაურ მკვიდრთათვის. უმეტესი ნაწილათ შიდ მთელი ზაფხულის განმავლობაში «ტანტები» იმართებოდა. ექიმების შემოქმედით აქაური ზღვა და ჭაური მღვირ ავანსადებს ადამიანს; ამიტომაც ზაფხულობით აქ ბევრი სალსი იურის თავს ვებურთულა მანძილია დაჭერილი მოაგარაკეთა სსკებით, რომლებიც ევროპიულ გემოზე არიან აშენებული. ზაფხულის დამდეგს აქ ჩამოვიდენ რუსეთიდან არტისტები და რომდენიმე შიკები დადგეს აქაურ სცენაზე. წარმოდგენებს ბლომით ესწრებოდა სალსი. ამ ბოლო დროს ბ. ურუშაძემაც ჩამოვიდარს თავისი «დასიით». გამართეს ორჯულ წარმოდგენა: პირველათ დადგეს «ორ ცეცხლს შუა», ვ მოქმედებანი დრამა უიარღვისა, „ცოლქმრობის წინააღმდეგეი“ და „ორი მშაერი“. კარგათ შესწრულეს მსოლოთ «ორი მშიერი», „ორ ცეცხლს შუა“ ვი სამაგიეროთ ძალიან ცუდათ, იმიტომ რომ იღებენ შეუფერებელ როლებს. ქალბატონ მდივანისაგან უფრო მეტი მოითხოვება. არ ვიცო სწორეთ ჩვენ არ გვთვლის ღირსათ, თუ მე რა არ შეუძლია?!. მსოლოთ ეს ვაა, რომ როლის დაკვირება და ცოდნა ოდნავათაც არ ეტუობოდა. საუკეთესო სცენები ისე მშრალათ ჩატარა, რომ საზოგადოებას არც ვი შეუმჩნევია თუ რა მოხდა. საზოგადოლოთ ამ «არტისტებს» უნდა ვთქვათ (გარდა ბ. წუწუნავასა, რომელიც სსკებთან შედარებით, უფრო კეთილსინდისიერათ ასრულებს თავის მოვალეობას), რომ ესენი უფრო თავის ვიბისთვის ზრუნვენ, ვიდრე საზოგადოებისთვის. მართვენ წარმოდგენებს, აცლიან სალსს ვიბიდან ფულს და იმასე ვი სულ არ ფიქრობენ, რომ საზოგადოებას სამაგიერო გაუწიონ. ეს მეტისმეტი თავსდობაა, და რომ ვიდევ არ გაამოკრებდენ ვარგი იქნება. აბა რა უნდა მოვთხოვოთ ისეთ ადამიანს, რომელიც მეორეჯულ თსოვს ბილეთებს დამსწრე სალსს და კრივით უსწორდება *). მეორეჯულ დადგეს «არსენა» და «Деньщикъ подвель», მაგ. ამ რაღაც უმიწელოთ არცერთი მათგანი არ უთამაშნათ. მათ მაგიერ «ბაიუში» და «Летучая птица» წარმოადგინეს; საზოგადოება ამ მოტუეებით მღვირ

*) ჩვენ ვამბობთ ოზურგეთის უკანასკნელ წარმოდგენაზე, სადაც ბ. ურუშაძემ დიდი ვაჟუცობა გამოიჩინა: მეოთხე მოქმედების შემდეგ მივიდა ერთ ნოქართან და ბილეთი მოთხოვა, და როდესაც ვასუნი მიიღო რომ, მე შევიცარმა უკვე გამომართვა ბილეთი, მაშინ სასწეში დაუწყო ცემა და შემდეგ პოლიციაც მოიწვია!



უკმაყოფილო დარჩა, მაგრამ ამას ვინ დაეძებდა! მათ რაც უნდადეთ, იმას მიწვდენ და!

ქობულეთში არ არის არც ბიბლიოთეკა და არც სამკითხველო. მთელ ქობულეთში ერთი „ცნობის ფურცელი“ და ერთი «კვალე» მოსდით. ბუკრია აქ წერილობით ინტელექტულებს მარა სმა-ტამის და კარტ-ნარდის თამაშობის მეტი არაფერი ახსოვთ. სშირათ „სკანდალი“ მოკვით სოფელ ერთმანეთში. ამიტომ კარგი იქნება, რომ ვინმე მადლიანი გამოვიდოდეს და სხვა თუ არა სამკითხველს დაარსებას მაინც ითხოვდეს.

დროებით ქობულეთელი.

სოფ. კულაში. კულაშის საზოგადოება შედგება სამი წოდებისაგან: უმრავლესობას შეადგენს გლეხები, მერე თავად-ახუნაურობა, ხოლო უმცირესობას სამღვდელეობა, სულ ათასამდე კომლი იქნება. წინ მსვლელობაში კულაშიც არ ჩამორჩენია სხვა სოფლებს უკან, ხოლო არც ერთი საქმე ისე არ დაგვირგვინებულა, რომ სოფელი არ შეწყუბუბოთ. ამ გარემოებაში გული გაუტეხს ხალხს, რომ რაც გინდა სასარგებლო საქმეს იწყებდე და წინადადება მისცე მცხოვრებთ, კარგაო, გიპასუხებენ, მაგრამ რაფერ გაუბელოთ, ვისაც ვინაფრთ არ დაგვინდო: ერთსელ გადასახადს ორჯერ გავსდევინებენ. ამ 20 წლის წინეთ კულაშის საზოგადოებას მოუვიდა ნებართვა თავის თხოვნასე საერო განათლების მიწისტრიფანს ორ ვლასიანი ნორმალური სასწავლებელისა. ამ სკოლისთვის დაიწყო ხის შენობის აგება. ამოიჩინეს კაცები და მიანდეს სკოლის ბედ-იღბალი მათ. განიხილეს იყო თუ უკანონო ამის რა მოგასენოთ, ამორჩეულმა კაცებმა გარდაწყვიტეს, თუ რამდენი მოუხდება შენობისა და გაიწერეს კომლსე გადასახადი. ამ გაუბატონებმა თავიანთ ბედ-იღბალსე უფრო ახრუნეს, ვინემ სკოლასე. იმდენ ხანს გატანდნენ შენობის აგება, რომ კვლავი თითქმის წვიმამ დააღწია. რაცა შეკვითხეს: რა აფერხებს საქმესო, აღმოჩნდა რომ ფულია აღარ ფოთნოდანო. სოფლის კაცს არც ისე ნათელი წარმოდგენა აქვს სკოლის სარგებლობასე და თან რაღა მოტევილებული დარჩა უარე განცხადად: რაც დავადებე შეუფა, კადე ვერ მივემტებო. ბოლოს იქამდის მივიდა საქმე, რომ გლეხებს ხელმოკლე გადასდევინეს ფული, ხოლო ბორტომქმედთ შერხათ თავებდობა. 1884-ში მოთავდა შენობა. ამ სამი წლის წინეთ შემოსენებული სკოლის გამგის ბ. მუხრანლის თაოსნობით და გლეხების თანხმობით დაადგინეს: სკოლისთვის აგეთ მოკრეაღვას ქვის შენობა და ძველი ხის შენობა გადაკეთებულყო საქალბო სკოლათ (წინეთ ქალები და ვაჟები ერთათ სწავლობდენ). სოფელი აღტაცებით მიეკება ამ ფრად სასარგებლო საქმეს, მხოლოთ მოაგონდათ ძველი შენობის ისტორია, ვაი თუ კადეე ტუბი გაგვამჩნებო. ამ დროს ჩუროა ამ საქმეში უკვლა წოდების წარმომადგენელი და დაიყოლიეს ხალხი. განცეს შენობის აგება იჯარით. შეიჯარენი უცხოელები არ იყვნ, ისეე ჩვენებურები იყვნ და ჩვენებურობაც გამოიჩინეს. ადრე ინგარიშეს რაც აკვებდა შენობას და გააწერეს სოფელსე, გაწერილი სუმა მოგროვდა, შეიქმმა კადეე და შენობა ნახეკრათ არ იყო გაკეთებული. ატუდა აღაქოთი, იბოკეს ბორტომქმედნიც, უკვლას სურდა მაგალითისთვის ციე ქვეუნებში გაქმეებინათ დამნაშავენი, მაგრამ რელაც სასწავლის მალათ დამნაშავეთ შერხათ ბორტომქმედება და სოფელმა ხელმოკრეთ გადაინდა ფული. როგორც იყო მოთავდა შენობა, რომელშიაც სწავლობს დღეს რამოდენიმე სი ბავში.

ახლა ადგილობრივმა ბელაონიმმა კანდელავმა გამოუცხადა კულაშის საზოგადოებას: საქართველოს ექსპანსიონის ფორცული ბრძანებით კულაშის საზოგადოების წმიდათა და მართალთა ირავიმ და ანასია ვუარცმის ეპიკოსია, უნდა გადაკეთდეს ან ახალი უნდა ააგოთ. ბუკრია უაუნის შემდეგ დაადგინეს: გლეხებმა, თავადებმა, ახუნებმა და სამღვდელეობამ ერთათ უნდა შეაკეთონ ძველი ეპიკოსია თავის ალაგსე და ერთნაირი უფლებებით უნდა შედიოდეს შიგ როგორც თავად-ახუნაურობა, ისე გლეხობაც.


იქნებ ვინმემ იკითხოს და გაუკვირდეს კადეე, ნუ თუ ერთნაირათ ვერ სარგებლობენ ერთი ეპიკოსიის მიუკვლევ სხვა და სხვა წოდებისა ერთი და იგივე ეპიკოსიითო. დაის ვერ სარგებლობენ. ძველი ეპიკოსია ამენებულია ბატონ-უმობის დროს. მართალია დარეკანმა თქვა: «გოგორც ჩემია და ჩემკრდინიცო», მარა ჩუენი თავადებიც არ ამობდენ ნაკლებს: „ბატონ-უმობის დროს უმებიც ჩუენი იყავით და თქუენი აგებულა ეპიკოსიაც ჩუენიაო“. ამ ეპიკოსიაში წირვა-ლოცვის დროს თავად-ახუნაურობა, კაცია თუ ქალი, უეჭვლათ წინ უნდა იდგეს. წირვის გამოსვლის შემდეგ, როცა ვუარს უნდა ამთხოვოს ძველდამა მრეკლი, ვერ უნდა დაუძახოს თავად-ახუნაურობას მობრძანდითო, გლეხი თუ გინდ მის წინ იდგეს ჩამოაყენებს.

იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა მიცვალებული გლეხი შესვენეს ეპიკოსიაში, თავადებმა ქიშტის ვერით გამოატანინეს გარეთ გლეხებს, «კამანების არ არის ეს ეპიკოსია და ვერც მათი მიცვალებული დასვენდება აქო».

დღეს რაღა უჭირო საქმე საჭიროთ გაუნადეს საზოგადოებას, განსაკუთრებით გლეხებს, გადაწყვიტეს ეპიკოსიის გადაკეთება დაერღვევულათ სამი წლის განმავლობაში. ამ საზოგადოებაში არ არის წიგნთსაცავ-სამკითხველო, არც არავინ თავს იწყებს ამ ფრად სასარგებლო საქმისთვის. აქ იმყოფება ექიმი, ფარმადი, არის აფთეკა, ხოლო უნდა შეუნაშნოთ მოხობლიური სასიათი აქეთ. ძალიან ძვირათ უკვდება იმ:თი სამსახური მცხოვრებთ. არ იქნება ურიგობა და ამას მოითხოვს თვით გარემოებაც, როგორც სოფელი, ცოტ უფრო მცხოვრებთათვის სულსუფრელ ჯილდოთი მობრძანდეს ექიმი და იაფათ დეკოპოს წამლები აფთეკიდან. ამ ორი წლის წინეთ გამოცხადებულა იყო ც.ს. «კვალში»: კულაშის საზოგადოებაში გაძლიერებულა ქურდობაო. მას ბოლო არ მოღებია, არამედ კადეე უფრო ძლიერდება.

კულაშელი.

ს. შარალაში (გორის მაზრა). ამ სოფელში სულ 120 კომლი მცხოვრებია. შუროს მოსავალი და სიმინდისა ნაკლებია და ღვინის მოსავალი კადეე უფრო მცირე. ნამეტნავათ წელს; მარცვლი სმება და ძირსა ცვივა. გარდა ამისა მამული ძალიან ცოტა აქეთ აქაურებს; მეტ წილს ბატონის მამულსე მუშაობენ, მაგრამ მოთხოვნილებას მაინც ვერ იკმაყოფილებენ. ამიტომ ხალხი ტოვებს სოფელს, გამოდის რგინის გზასე საძოვართ; ბათუმიდან ბაქმდის არიას გაფანტული და დღე დაღამე მუშაობენ. ყარაღაჯში სკოლის სსენებაც არ არის. ადგილობრივი ძველელი ბუკრულა ცდილას და აუხსნია სკოლის აუცილებელი საჭიროება, მაგრამ მისი მეცადინეობა უნაყოფოთ დარჩენილას. აქ სჭელბით არ იცინა უერხალ-განეთები და წიგნები რას ქჭვია, სასმელათ თუ საჭმელი! სკოლის საჭიროებასე რომ ვინმემ სმა ამოიღოს, სიცილს დაიწყებენ და გაძისაან ჩუენი სკოლას სასრეო და გაგახუებენ. სამაგეროთ



თითო რომ ვისმეს ასტრეიდეს, მასინვე მკითხავთან მიდის. მოკესსენებათ მკითხავს გაკვეთილი აქვს ენა, რასაკვირველია, უოკელივეს რომელიმე ხატს გადახბრლებს. ვენაცვალე იმის მადლსა! წმიდა გიორგი გთხოვს კურატისა და სამი დამით თეკასა. მასინვე დაფაცურდება, ვალზე ვალი ედება და მკითხავის სიტყვა სრულდება სწრაფათ. არავის არა აქვს ისეთი გავლენა აქ, როგორც მკითხავებს, და ვინ მოთვლის, რომდენი ადამიანი სდება ამ სასარგელი ცრუმტრუმენობის მსსვერზღვით.

ალ. იტრიაშვილი.

რუსეთის ცხოვრება.

ოქტომბრის ქალაქის უფროსის თანამდებობის აღმასრულებელს გამძრელებული დაცვის წესდებულებათა თანხმებით გამორჩეა შემდეგი დადგენილება: «აიკრძალოს ოქტომბრის ქალაქის სამმართველოს რაიონში დარბევა უფასო განცხადებებისა, წიგნაკებისა და სხვა. მოედნებზე, ქუჩებზე და ყველა სასოგადო ადგილებში შემოსსენებული ქაღალდების დარბევა შეიძლება მხოლოდ ქალაქის უფროსის ნებართვით. ვინც ამ დადგენილებას დარღვევს, მის გადასდება 500 მანეთი ჯარიმა, ან სამი თვით ცისეში იქნება დაზატიმრებული» («უწუ. ოქტომბრის ქალაქის უფროსისას»).

== როგორც ვაზ. «რუსკ. კედ.»-ი იუწუება, წელს ბეტრბურგის უნივერსიტეტში აღმოსავლეთ ენების ფაკულტეტებზე შესულა 60 სტუდენტი. ეს პირველი მაგალითია, რომ ამ ფაკულტეტზე ამდენი მოსწავლე გამოჩენილიყოს. სასოგადოთ წინეთ მათი რიცხვი 10 15-დე იყო. სოლო შემოსსენებული გარემოება იმით აისსნება, რომ ამ ბოლო დროს თვით აღმოსავლეთის ქვეყნებმა მიიჭციეს მეტი უფრადლება სასკლმწიფოების და სასოგადოებისად.

== ვაზ. «რუსსია» იუწუება, რომ მოსკოვის უნივერსიტეტის საბჭომ შეიმუშავა ჯერჯერობით ოთხი ვითსვა იმ მოსსენებისა, რომელიც მას განსაკუთრებულმა კომისიამ წარუდგინა. საბჭოს დადგენილებით უნივერსიტეტის რექტორს უნდა ირჩეოდეს პროფესორთა კოლეგია, რექტორი უფრო ნაკლებ უნდა იყოს დამოკიდებული სამოსწავლო ოქტის მხრუნველისაგან, ვიდრე აქამდე იყო. დეკანები უნდა იქმნენ დანიშნულნი აგრეთვე არჩევნებით.

== როგორც ვაზ. «დონს. რჩ.»-ი იტყობინება, შინაგან საქმეთა მინისტრს არ შეუწინარებია უფის ქალაქის თავის შესამდგომლობა შესასებ ქალაქის თავების და ქალაქის წარმომადგენელთა კრებისა.

== ვაზ. «რუსსკ. კედ.»-ს სიტყვით აღძრულია შესამდგომლობა, რომ ნება დაართონ გამოსცენ მოსკოვში სტუდენტთა გასეთი, რომლის მიზანი იქნება მხოლოდ რუსეთის სტუდენტების ინტერესების შესასებ საგნის გამორჩევა. თუ ეს შესამდგომლობა ნება დაართულ იქნება, პირველი ნომერი განზრახული გასეთისა გამოვა ნოემბრის პირველ რიცხვებში.

== ბეტრბურგის ნოქრების სასოგადოებაში აღუძრავთ ვითსვა საგანტროების მოსამსახურე ბიჭებისთვის უფასო სწავლების საქმის მოწუობის შესასებ. ასწავლიან სასკოლო საგნებს სადამოლობით.

ს ა ს ღ ვ ა რ უ ა რ ე თ .

ინგლისი. ქ. ვლავრაში მოხდა მკათე კრება მშვიდობიანობის კონგრესისა. ამ კრებაზე სხვათა შორის ბევრი საუფრადებო სტატისტიკური ცნობები იქმნა მოსსენებელი.

როგორც ამ ცნობებიდან ჩანს, კერძის და ამერიკის მცხოვრებთა რაოდენობამ შესამჩნევით იმატა მეცხრამეტე საუკუნეში. მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს კერძოებლების რიცხვი მთლათ დედამიწის ზურგზე იყო 170 მილიონი, სოლო ამ ყამით მათი რიცხვი 510 მილიონია. ამ რიცხვში არ ითვლება სამხრეთ ამერიკის რესპუბლიკები და მექსიკა. ყველაზე მეტათ სალხი გამრავლებულია ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისს ამ შტატებში თეთრკანიანთა რიცხვი იყო 5 მილიონი, ამ ყამით კი 80 მილიონია. შეკრებულე შტატების შემდეგ ხალხის გამრავლებით მეორე ადგილი უჭირავს ინგლისს. აქ მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს ითვლებოდა 15 მილიონი, ამ ყამით ითვლება 55 მილიონი. ხალხის რიცხვმა იმატა შესამჩნევით აგრეთვე გერმანიაშიც. იქ წინეთ იყო 20 მილიონი ესლა ითვლება 55 მილიონი. რუსეთში მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისს ყოფილა 40 მილიონი, სოლო ამ ყამით 135 მილიონია. რუსეთის მცხოვრებთა რიცხვის ასეთი სწრაფი გამრავლება უწინარეს ყოვლისა აისსნება სსვა-და-სსვა ადგილების შემოკრებით. ყველაზე ნაკლებათ ხალხი გამრავლებულია საფრანგეთში. აქ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისს ყოფილა 25 მილიონი, სოლო ამ ყამით 40 მილიონია. ამ ციფრებიდან ჩანს, რომ კერძის კრები შედარებით უფრო მატულობენ აზიის მცხოვრებლებზე. და შიში იმაზე, რომ «უეთელი» და «შავკანიანი» კრები ე. ი. ნეკრები და მონგოლები თვისი სიმრავლით დამოკრებილებენ კერძას, უსაფუძვლოა. კერძის კრებთან შედარებით ამ მოდემის ხალხი ძრეულ მცირე რიცხვით მატულობს.

შემოსსენებული ციფრებიდან ნათლათ ჩანს, რომ ხალხის შედარებით სიმრავლით დიდ სასკლმწიფოთა რიცხვში უნდა ჩათვალონ: ინგლისი, შეერთებული შტატები, რუსეთი და გერმანია; რაც შეესება საფრანგეთს, ის ითვლება დიდ სასკლმწიფოთა რიცხვში მხოლოდ მისი პოლიტიკური მნიშვნელობის გამო. საფრანგეთში ხალხის გამრავლება ამ ყამით თითქმის შეჩერდა. ამ ასი წლის წინეთ კი იგი ითვლებოდა ერთ უპირველეს სასკლმწიფოთ დედამიწის ზურგზე. მამინ დიდი გვლენა ჭჭონდათ მსოფლიო პოლიტიკაზე ავსტრასი, იტალიას, ისპანიას, ჭლოხნდას და დანიასაც-ე. სოლო ამ ყამით მსოფლიო პოლიტიკის სარბიელზე გამოვიდენ ასაღვასდა სასკლმწიფოინი: შეერთებული შტატები, გერმანია და რუსეთი.

არა ნაკლებ საუფრადებოა ცნობები იმის შესასებ, თუ როგორ იმატა ხალხის რიცხვთან ერთათ სასკლმწიფოებში გარედან შემოტანილ საქონელმა: ათი წლის განმავლობაში (1888 წლიდან 1898-დე) დაუმუშავებულ და ჩასკვრათ დამუშავებული საქონელის იმპორტმა (შემოტანილმა საქონელმა) იმატა 29%-ით, გერმანიაში 49%-ით, საფრანგეთში 16%-ით, შვეიცარიაში 27%-ით, იტალიაში 28%-ით, ავსტრიაში 27%-ით. ამავე დროს შემოტანილ სასოგადო რუსეთში იმატა 35%-ით, გერმანიაში 100%-ით, შვეიცარიაში 40%-ით, იტალიაში 42%-ით და ავსტრიაში 85%-ით. მხოლოდ საფრანგეთი რჩება გამონაკლათ, აქ სასოგადის იმპორტი იგივეა, რაც წინეთ. ყველაზე მეტი საქონელი გარედან შეაქვს ინგლისს და გერმანიას.

საფრანგეთი. საფრანგეთში შედგა ასალი პოლიტიკური ჯგუფი, რომელსაც ეწოდება „რესპუბლიკანურ-დემოკრატიული კავშირი“. ამ ჯგუფის მიზანია შემოკრების ყველა «კეთილგონიერი რესპუბლიკანური» ელემენტები, ჩაერიოს მამაკალ არჩევნებში და შეადგინოს ნამდვილი რესპუბლიკანური უმრავლესობა. კრი ერთხანით წინააღმდეგია როგორც რეაქ-



ციონურების, ისე სოციალისტების, თუმცა მხოლოდ ამ უკანასკნელთა დანაშაულებით მოატანა სული ვალდებულებების სემინარის დღემდე. ასევე «კავშირი» იმედი აქვს, რომ ის შემდეგ ჩამოაშორებს რადიკალებს სოციალისტებთან მეგობრობას, და ზოგადად რესპუბლიკელებს რეპრეზენტებს. მისი წარმოდგენით ძალიან ადვილი მოსახერხებელია ეს საქმე და პარტიის უკანასკნელ კრებებზე მიღებული ტაქტიკის შეცვლა. როგორც ვიცით, რადიკალებმა გადაწყვიტეს, სადა თავის კანდიდატის გაყვანის იქნება ან ექნება, იქ სოციალისტებს მიემხრონ, რომელთაც ასეთსავე სამაგიეროს უღიან. ასეთივე თანხმობა აწესდის რეპრეზენტებს და ზომიერ რესპუბლიკელებს ანუ ოპორტიუნისტებს შორის და აი ასევე ჯგუფის უმთავრესი მიზანი ამ მდგომარეობის შეცვლა ანუ მარქსისტულ პლატფორმის მარჯვნივ, რეპრეზენტების დაწვევა. რამდენადაც მიადევს მიზანს ეს ჯგუფი ძნელი სათქმელია, მაგრამ ის ვი აშკარაა, რომ სხვა-და-სხვა ფრაქციის რესპუბლიკელებს და სოციალისტებს კავშირი უკანონოა რამდენადაც რესპუბლიკის დაცვას შეეხება საქმე და შესაძლებელია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც უკანასკნელი ოფიციალური წარმომადგენელი თავის პოლიტიკის დაცვას უზრუნველყოფს. ამას გვიმტკიცებს მილიტანტის ორი წლის მცირე ნამუშაოები მინისტრობაც. ასევე ჯგუფის მეთაური და წევრები ყველა ვალდებულნი არიან წინსწრებით.

გეგმვა. ამ დღეებში ქალ. ტორნი ერთი საქმე განიხილა. «რუსეთის ვალდებულებები»-ის გარკვევითი პირობებით აგვიწერს ამ საქმეს:

„ბრალდებულია სკამზე 60 პოლიციური უმწიფი ზის, ყველაზე უმწიფი 20 წლის იქნება, უმცროსი — 16-სა. სულ პირველი გურსის სტუდენტები და გიმნაზიელები არიან. ამ უმწიფელებს დიდ ბრალს სდებენ: საიდუმლო საზოგადოება შექმნილია ერთგული ახლების გასაზრდელად. ოქმიდან ჩანს, რომ პირველად პოლიციის და პოლიციის 140 კაცი მიუცხადებენ სასამართლოში, მაგრამ 80 უმწიფის გასამტყუნებელი საბუთი არა უფიქროს და ისევე გაუნთავისუფლებიათ. სამაგიეროდ დანაშაულები ბრალდებულნი, ყველანი, ვინც ესეა სასამართლოში სხედან, ლაშარავი აღარ უნდა, სულ ნამდვილად საშიში სახსი არიან. ახს ერთი წარმოდგენით, რა ნაირად იკრებოდნენ თურმე: ღამით, ტუში; იმისთანა მიუხედავად იღივებში, სეკში, უცნაური ტანსაცმლით, სანთლებით სულში იკრებოდნენ ეს უმწიფე-კაცები და თანაც ტაფაციციებით აქტი-იქტი იუერებოდნენ.

მთელი ერთი კვირა სასამართლო ცდილობდა გამოკვლია, რა ხარისხით იყო დასრულებული ეს «შეთქმულება» და მართლად შედეგი გამოიკვლია: პოლიციურ წიგნებს კითხულობდით და პოლიციის ისტორიას ვსწავლობდით, რადგანაც ერთი და მეორე გიმნაზიაში აკრძალული გვაქვს, ამას ამბობდნენ თითონ ბრალდებულნი, ამასვე იმეორებდნენ მოწმეებიც, ამითი გიმნაზიის დირექტორიც და სამდგომო სკოლის მასწავლებლებიც. სკოლაში ისე გულმოდგინედ ცდილობდნენ თურმე უმწიფელების გაგერმანიკებას, რომ უმწიფელები შესვენების დროსაც ვი აქტი-იქტი იუერებოდნენ, ახს უფრო სომ არავინ გვიგადავს, რომ პოლიციურ ვლანაობით. უმწიფელებს თავიანთ სასახლეში, რასაკვირველია, მამბისაგან ესმოდათ, რომ პრუსია მეტად აწუხებს პოლიციელებსა. განსაკვირველია, რომ ბრალდებულნი კუფრით, მოდი შევიკრიბეთ სოლო და ჩვენ სახსს ვუშველოთ რამე. უმწიფელების დამცველმა მეტად მოსწრებულად თქვა: ის ვი არ მაკვირებს, რომ ამისთანა მცირე, უ-


ბრალ სექმისთვის გიმნაზიელები ასე საიდუმლოდ იკრებოდნენ, პირაქით, ის მაკვირებს, რომ პოლიციის და მისამართლებს ასე ცუდად აქვთ შეგნებული უმწიფელების სულისკითხვა. არ ცოდნიათ, რომ უმწიფელები უფროსის ამნაირად იქცევიან და რამდენათაც გაკვირება უფრო საშიშარია, თითონ საქმე იმდენად უფრო უშიშარი და უმნიშვნელია. კტუობა, თითონ მოსამართლესაც ვი ამნაირად ეფიქრათ, რადგანაც განაჩენიდან ცხადია ჩანს, რომ პოლიციელებს მეტად გაკვირდებინათ ეს საქმე. ფორმალურად რომ გავსინჯოთ, ამ უმწიფე კაცებს კანონი დაურღვიათ, რადგანაც თავიანთ საზოგადოების წესდება მთავრობისათვის არ წარედგინათ და როცა ვრებებს ასდენდნენ, პოლიციის არ ატყობინებდნენ. ტორნის სასამართლომ ორს მეთაურს ორ-ორი თვით უცისუმი დაპატიმრება გადაწყვიტა, 10 უმწიფის 1—3 კვირით დაპატიმრება, ზოგს შენიშვნა მისცა და დანაშაუნი გაამართლა“.

ამერიკის ვაიტიზაციის უბრალო. ასევე პრეზიდენტი რუსეველი ტომით ჰოლანდიელია, ე. ი. იმ ტომის, რა ტომისაც ბურები. ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა ექნება ბურების საქმისთვის. მეორე მხრით ეს პირველი მაგალითია, რომ ამერიკის შერთ. შტატების პრეზიდენტი სხვა ტომის კაცია: აქამდე სულ ინგლისის და შოტლანდიის შთამომავალი ირჩევდნენ, საზოგადოთ დღეს ყველა ქვეყნის გასუთები, განსაკუთრებით ვი ამერიკის და ინგლისის, სულ იმის შესახებ მსჯელობენ და სწერენ, თუ ასევე პრეზიდენტი რა ტომის იარჩევს როგორც საგარეო ისე საშინაო პოლიტიკაში. შინაური პოლიტიკის თაობაზე გასუთები ნათლად გარკვევით არას ამბობენ, მაგრამ ბევრს იმედი აქვს, რუსეველი მედგარ, ძლიერ ბრძოლას აუტყვს მრწველების ტრესტებსა და სინდიკატებსა, ამ „უბრალო ქურდებსა“ და «ავსტრიის ვლასსა». მაკვირვების გარდაცვალება რომ გაეგოთ, ნიუ-იორკის ბირჟას და ყველა დიდ მრწველებს შიშის ზარი დასცემდა. კავიტაციის ტებსა და ფინანსისტებს ასევე რუსეველის მკაცრი, გაბედული სასიათი, მისი ქვეყნის ნიუ-იორკის კანონმდებელ კრებაში და შემდეგ გუბერნატორობის დროს და ამიტომ კარგს არას მოელოან ასევე პრეზიდენტისაგანა.

მინეპოლისში მრწველობის და მეშა ხალხის ურთიერთობაზეც უღანაგანა რუსეველს და შემდეგი უთქვამს:

„ერთი მხრით სრულად არა სასურველი, რომ კერძო კაცების თაობაზე შევსესტოთ, მაგრამ მეორე მხრით ვი ჩვენ ცბიერი სპეკულაციებისაგანაც და მრწველობის მონაბისაგანაც უნდა გავთავისუფლდეთ იმნაირადვე, როგორც აღწერ პოლიტიკური მონაბის ბორკილი მოვიკვებინეთ. საჭიროა ისეთი კანონები გამოვიტოთ, რომ მუშების ინტერესები დავიცვათ და რამე უშიშარება მივცეთ პატიოსან, კანტომუყარე მრწველებსა. ჩვენი მრწველობის განვითარებამ ასევე წესები და ასევე პირობები გამოიწვია: კერძო პირებისა და საქმიონერო საზოგადოებათა სულში დიდი შემდეგ შეკრავდა, ტრესტებმა დიდ ფულს მოუყარეს ერთად თავი. ამიტომ ესეა მთავრობამაც და კრაც სულ სხვა თვლით უნდა შევხედოს კერძო საკუთრებას. ყველასათვის ცხადი შეიქნა, რომ მთავრობამ, და თუ საჭირო იქნება, მთელმა კრმაც უნდა თვალ-უერი ადვენოს დიდ ამხანაგობათა მოქმედებას, რადგანაც ამ ამხანაგობათა ძლიერება უმთავრესად მონოპოლიზაცია დამყარებულია“.

ფილიპს კუნიშელების შესახებ რუსეველს უთქვამს: „უნდა გავსლოვდეს, რომ მმართველობის გარეგან სახეს დიდი მნიშვნელობა არა აქვს. ჩვენ სულში ფილიპელებს ასევე



მეტა თავისუფლება აქვთ, ვადრე უხვესთ ექნებოდით. ჩვენ სულაც არა გვწადიან, რომ ჩვენ ბატონობას ქვეშ ვყოფილიყავით, ჩვენ მართლ იმას ვნდებოდით, განვითარება და განათლება შექმნილიყო და იმედი გვაქვს დაბოლოს ისე მოვაძევალოთ, რომ ავტონომიის მოსმარება შეიძლოს“.

— ნიუ-იორკიდან იტუობინებიან, რომ მიკ-კინლეის მკვლელის, ნოლგოსის, საქმის გარჩევას 10 სექტემბერს დაიწყებენ.

— ნოლგოსის სასამართლომ ელექტრონით სიკვდილი გადაუწყოტა. დამნაშავეს ოქტომბრის შუა რიცხვებში დასჯიან.

— ნიუ-იორკიდანვე იწერებინან I სექტემბრის რიცხვით: „გაუიციურად მუშების საზოგადოების და ფოლადის ტრესტის მეთაურთ მთელი რეკისი საათი თათბირი ქმნიდათ. თათბირის შემდეგ მუშების მეთაურებმა გამოაცხადეს: გაფიცვა გათავად; წარსულ ორშაბათს გაუიციურად მუშებს მუშაობა უნდა დაეწყოთ.“

ინგლის-ტრანსვაალი. ამ დღეებში ბურების დელეგატებმა ჰაგის სამედიკორო სასამართლ-ს თხოვეს, ჩვენი და ინგლისის საქმე განჩიეთ. გაზეთების სიტყვით ეს თხოვნა უნაყოფოთ არ ჩაივლის: ინგლისი ან უნდა დათანხმდეს სამედიკორო სამართალზე, ან უნდა უარსუფას იგი. თუ უარსუფას, მაშინ ინგლისი ამკარათ დამტკიცებს, რომ ევროპის მთავრობათა წინასწარ აწარმოთ ატებს. ამ წინადაცის სასარულუბლათ მოასწინეს ჰაგის კონვენცია. ჰაგის სასამართლოს შემადგენლობას ისე უნდა შეესაბამებოდეს, როგორც მთელი ევროპის შემადგენლობას, რადგანაც ამ სასამართლოს წევრები ევლას სასულემწიფოთს მთავრობისაგანაა დაწინაურდი და ამრებათ კვრალის სასულემწიფოთს განიხიერი წარმომადგენლები არიან. ბურების დელეგატები ამტკიცებენ, ინგლისმა სამხედრო განიხიერი და ჰაგის კონვენციის დადგენილება დაწდუიან. ბურების საჩივარი სამართლიანი და საბუთიანია და თუ ამ საჩივარს ინგლისმა ზასუსი არ გასცა, მაშინ განათლებულ საზოგადოებას საბუთი ექნება იფიქროს, რომ საერთაშორისო დადგენილებას სამხედრო წესდების თაობაზე არაიერი ძალა არა ქმნიან. ევლას ნება ექნება იფიქროს, რომ ჰატარა ერებს ამ საერთაშორისო განიხიერის იმედი არ უნდა ქმნიდეთ, როცა დიდ ერთან ბრძოლა მოუვითო».

სამხრეთ-აფრიკა. წარსული კვირის განმავლობაში ბურებს და ინგლისელებს რმდინამე ადგილას დიდი შეტაკება ქმნიდათ, და ყოველგან გამაჩვიებელუბა ბურები დაჩჩენ; მაგ., უტრეხტის მასლობლათ შეტაკების დროს, ბურებმა მოუვლეს ინგლისელებს რარი აფიცერი და 14 სადღათი, 5 აფიცერი და 25 სადღათი დასტრეს, 5 ოფიცერი და 150 სადღათი ტყვეთ წაიუკანეს. — ტარვისტალასთან ბრძოლის დროს ბურებმა მოუვლეს ინგლისელებს 3 აფიცერი და 30 სადღათი და 38 დაუტრეს.

დურბანდიან იტუობინებიან: რომ ბუტს 1500 კაცით მადის კრძელოსაკენ, ზულუსების ქვეყნისკენ. ამს თან ასდჯეს ტრანსკაალის ბურების ევლას გამოჩენილი ხელმძღვანელნი:

როგორ იბუტებიან ცოლები.

ლიუდვიგ ჰერნედიან.

როდესაც ჩემი უძვირფასესი ვილგელმინა ჩემი საცოლდე იყო, მე მას ანგელოზს ვეძახოდე; ეხლა, როდესაც იგი უკვე ჩემი მფულოე შეიქმნა, მე მას ხშირათ გაჯერების დროს შემწივიკლოთ ანგელოზს ვუწოდებ. და მაშინ კი, როცა მეტის-მეტათ დამცხება ხოლმე, მე მას ვე-

ძახი ანგელოზს შევეცილი ფრთებით. «რათ მეძახი ანგელოზს შევეცილი ფრთებით?» მკითხა ჩემმა ვილგელმინამ, როდესაც ეს სახელი მე მას პირველათ ვუწოდებ. მეტის მეტათ უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდი, ვინაიდან ჯერჯერობით არ ვიყავ მიჩვეული ფარისევლობას და არც ვიცოდი, როგორ საჭიროა ხოლმე ხშირათ ტყუილი ოჯახურ მშვიდობიანობის დასაცველათ და რომ უამისოთ ხშირათ გექნება თვალები დაწითლებული. «ოხ, ჩემო ძვირფასო ვილგელმინა, ვუპასუხე მე, და თან შევაკვნიტე შაქარი მის ბროლ პატარა კბილებს, განა არ იცი, საყვარელო პეპელავ, რომ, შენ რომ ფრთები დაჭრილი არა გქონდეს, მე ყოველ წუთს უბედურების მოლოდინში უნდა ვყოფილიყავ, რომ ყოველ წუთს უნდა მშინებოდა შენი გაფრენისა... გაფრენისა ზევით, მაღლა ცისაკენ, შენს სამშობლოში», მინდოდა წარმომეთქვა მე დიდი აღტაცებით, მაგრამ აღარ მაძალა ჩემმა ძვირფასმა მეუღლემ. «მაშ შენ გეშინია, რომ არ გიღალატო?» და არც კი მოუცადა ჩემ პასუხს, შეიკრა შუბლი, მოკუშა ტუჩები და გაიბუტა. ამაო, ამაო იყო ჩემი ჩივილი, კენესა, მუდარა და თითქმის სიხუმცე კი, ველარ მოვებრუნე იმისი გული! მე აღმფოთებული დავდიოდი წინ და უკან. ანგელოზის მიმობერაში არ არის არც ერთი იმისთანა სააღერსო გამოხატულება ხელ-ფეხ-პირ-ბაგე-ტუჩებით, რომ მე არ მეზმაროს: სიყვარული, გესლი, აღმფოთება, გაბრაზება, სასოწარკვეთილება; მაგრამ ყოველივე ამაო დამირჩა. ჩემი ვილგელმინა ისევე გაბუტული იჯდა და ერთი სიტყვაც კი არ წამოცდენია. აი ეხლა და მხოლოთ ეხლა მივხვდი და გავიგე, რა არის ქალების ბუტიაობა და არც დამავიწყდება მე ეს ჩემ სიცოცხლეში. ეს მოხდა სწორეთ ოცდამეხუთმეტე დღეს ჩვენი ჯვარის წერისა, ე.ი. იმ დროს; როდესაც ჩემი ბედნიერების ვარსკვლავი უნდა დაშვებულიყო ცის კიდისაკენ. საქმე ის არის, რომ ჩემი ვილგელმინას ბუტიაობა ძლიერდებოდა ართმეტიკული სისწორით, უმეტ-ნაკლებოთ, თანდათანობით. ჯერ ის იჯდა სკამზე, მერე დაისაკუთრა ერთი კუთხე ოთახისა, შემდეგ მთელი ოთახი და ბოლოს კი მთელი სახლი.

მე გამეგება ზოგი რამ თეორეტიულ და პრაქტიკულ ფილოსოფიისა. ცოტაოდნათ შესწავლილი მაქვს მეტაფიზიკა, ლოდიკა, ანტროპოლოგია, ემპირიული ფსიხოლოგია, მაგრამ ქალების ბუტიაობის თეორიას კი, სწორე მოგახსენოთ, აქნობამდის არსად არ შეცხვედრივარ. ამისთვის საჭიროთა ვთვლი გავუზიარო მკითხველებს ცოტა რამ იმ პრაქტიკულ შემეცნებიდან, რომელიც თვით მე მხვდა წილათ. ეს არ იქნება ამაო, თუ გავხსენებთ ევროპის აწინდელ მდგომარეობას. სახელმწიფო ქალაღდების კომერსანტები ხშირათ ეკითხებიან თავის თავს და სხვასაც, რა შედეგი მოჰყვება ისპანიის ომს. ოხ, უგუნურებავ! მხოლოთ ის ვერ მიხედება ამას, ვისაც ცოლი არა ჰყავს, მაგრამ ყოველი ცოლიანი კაცი კი ახლავე დარწმუნებულნი, რომ ფრანგები დაიღუპებიან. ქალების ბუტიაობა—ეს არის ომი ცოლებისა შეერთებული ძალით ქმრების წინააღმდეგ. ომი, რომლიდანაც ისინი ყოველთვის გამარჯვებულნი გამოდიან. არა, რას გაშველის შენ თუნდა ორლულიანი ზარბაზანი, როდესაც ათი ათასი კოლო და ბუზი დასევიან შენ მთროლოვარე ხელებს, იმ დროს, როდესაც პატრუქი უნდა აანთო. რას გიშველის შენ ათი ათასი საბუთი, მიმართული მათს წინააღმდეგ. ქალები



მანც და მანც, თითქოს ბოროტ სულგებთან შეეკრათ ზავი, ყოველთვის გამარჯვებულნი გამოდიან და ვერ შენგრევენ მათ ცინეს ვერც ერთი თქვენი ისარი. უპირველესი საშიში იარაღი ქალებისა—პრია. მათ შეუძლიათ ალაპარაკონ იგი, და მათ შეუძლიათ, რომ გააჩუმონ კიდევ. როდესაც ისინი ლაპარაკს დაიწყებენ, თქვენ შეგიძლიათ გააჩუმოთ, თუ საკმარისი გონიერება და მოთმინება შეგვწევთ, მაგრამ თუ გაჩუმდენ, რაც მათ ზნეთა სპირით შინაური ომის დროს და რაც „ბუტიანობა“ იწოდება, მაშინ კი არაერთარი ზომებით აღარ შეგიძლიათ გაახსნენოთ მათ ბაგე; თქვენ უნდა დამორჩილდეთ და სრული კმაყოფილებით ჩამოაგდოთ ზავი მშვიდობიანობისა.

როდესაც გავიბუტებით ხოლმე მე და ჩემი ძვირფასი ვილგელმინა, მე დარწმუნებული ვარ, რომ რამდენიმე წამის შემდეგ ისევ დიდი სიამოვნებით მოვისურვებ მის შერიგებას. მაგრამ ჩემ ბუტია ანგელოზს კი არაერთარი სურვილი არა აქვს გამოიცილოს როდის შემირიდება და მცირეოდენი რამე სახუმარო სიტყვა ერთიორათ გაამწვავებს ხოლმე ჩვენ ომს.

საზოგადოთ მე მას ვეძახი „ძვირფას ვილგელმინას“, მაგრამ როდესაც ის ბუტიანობას იწყებს, მე მას მინორკას ვეძახი. ეს უფრო ერთიორათ ამრავებს, რადგანაც მას ჰგონია, რომ მე „მინორკას“ დაცინვით ვეძახი.

მე არა ერთხელ მივეცი წინადადება ჩემ საყვარელს ცოლს ბუტიანობის აბონიშენტი აიღოს; ამის უფლებას ვაძლევ მე მას ოცდაათი დღის განმავლობაში, რომლის შემდეგ ჩვენი ურთიერთობა საუკეთესოთ შეიცვლება, მაგრამ ის ყოველთვის წინააღმდეგია ამისთანა წინადადებისა. ასე რომ მე წინათვე ვაკეთებ ერთი წლის კალენდარს ჩემის ვილგელმინას ბუტიანობის დღეთა აღსარიცხავათ, მაგრამ ამ შემთხვევაში წლიური ბალანსი ყოველთვის ჩემი ანგარიშის წინააღმდეგ გამოდის და არც ყოველთვის შემიძლია ხოლმე წინათვე გამოვიცნო ჩემი ოჯახის დარაიდარი. მართალია, მე შემიძლია დანამდვილებით გამოვიცნო წინათვე როდის და რა დღეს გაიბუტება ვილგელმინა, მაგრამ როდის და რა დღეს მობრუნდება ისევ ჩემკენ მისი გული, ეს კი—არადროს. ის ისე უმჩნეველათ და თანდათანობით დაიწყებს ხოლმე დაცხრომას, ისე იღუმალათ ჩამოდის ქვეით-ქვეით მისი გულის ტერმომეტრი, რომ თავის დღეში არ შეიძლება გამოიცილოს კაცმა როდის დაჰკრავს უკანასკნელი წუთი მისი საესებით გულის მობრუნებისა და შერიგებისა. ერთხელ ის მე გამომიტყდა, რომ ყველა ქალები ასე იქცევიანო. ე. ი. როდესაც მათ გულში მშვიდობიანობის ანგელოზი ჩაეშვება, ისინი ატრიბულებენ საათს ნელ-ნელა საათ-საათობით, ნახევარი საათობით, წამობით და წუთობით, ვიდრე არ შეჩერდება მათი გული სიყვარულის საათზე.

სხვას ვერ გავამტყუნებ, მე თვით ვარ დამნაშავე იმაში, რომ ჩემი საყვარელი ვილგელმინა ჩემდა მოულოდნელათ დამითხოვეს ხოლმე იმ სამოთხიდან, რომელიც მან თვითონ შექმნა ჩემთვის: ჩემ შინაურ წესწყობილებაში მე თვით დავრთე ნება ისპანის კონსტიტუციას. მე და ჩემი ცოლი წარმოვადგენთ ერთ პალატას და ამიტომ ხდება ხოლმე ის, რაც უნდა მომხდარიყო, ე. ი. დემოკრატიული პრინციპები იმარჯვებენ არისტოკრატიულ პრინციპებზე. ქალის გული სწორეთ ათინის (ძველ საბერძნეთის ქალაქია) ბაზარს წარმოადგენს—ლაყვარლოვანი ცის

ქვეშ საუცხოვო ყვავილები, სუნნელოვანი ნაყოფი, ნაზი, ნარნარი სიშვენიერე სულისა, თვალმომტაცი სიკვლეუცე და გამაგიჟებელი გრძნობიერება; მაგრამ მასთან ერთათ—გესლი, სიბრაზე, დაუნდობლობა, ცვალებადობა და უმადურობა. ხოლო იქ კი, საცა ცოლ-ქმრული წესწყობილება ორ პალატათ არის გაყოფილი, იქ, სადაც ქმარი წარმოადგენს ზედა პალატას და ცოლი კი ქვედა პალატას, იქ ყოველთვის ხმაშეწყობით გალობენ ხოლმე. დემოკრატიული ტალები იმსხვრევიან არისტოკრატიულ სალს კლდეზე, რომელზედაც დამყარებულია ტახტი და მშვიდობიანობა.

უელი.

* * *

დაცხა. სულის-თქმა გაჭირდა;
 ტყე-ვეს აუდის ბოლას,
 ცხელი ჭაჭი მიდამოს
 სისლავით წამოწოლას.
 ტყე იწვის, სმება ბაღასი,
 ცვარი მათ არ კვარება,
 მდინარე თითქმის გამშრალი
 ქეიშასე მიიპარება.
 ფრინველი ფრთებდაშვებული
 ბუნქში ზის ძაღდაშრეტილი;
 სულს ძლივსდა ითქვამს ნახირი
 და გდაა წელმოწვეტილი.
 სდუმს სუდაიერი, უსულა,
 რადგან წვა-დაკვა დიდა.
 და მარტო-მარტო ჭკიჭინას
 ეს სულ ფეხებზე ჭკიდა.

N.

საზრანგეთის მე-XIX საუკუნის ლიტერატურა.

1. ფრანსუა შატრობიანი და ქ-ნი სტალი.

მეთვრამეტე საუკუნის უკანასკნელი წლები და მეცხრამეტე საუკუნის დამდეგი ერთ უშესანიშნავეს ეპოქას წარმოადგენენ საფრანგეთის ისტორიაში. ამ ხანაში ინგრევა საფრანგეთის ძველი პოლიტიკური და სოციალური წესწყობილება და საშინელის გრგვინვით ექანება იმ უფსკრულისაკენ, რომელსაც საუკუნეთა სავანე ეწოდება. მაგრამ მას არ უნდოდა უბრძოლველათ დაეთმო მოდანი ახლისათვის და ითვლიდა რა უკანასკნელ წუთებს, მაინც კიდევ ცდილობდა ჩარხი ისტორიისა ისევ უკუღმა შეებრუნებინა. ხოლო მომავალი შეუბრალებელი სიმკაცრით ანადგურებდა მას და სისხლიანი ხელით შლიდა მის საფლავზე შარავანდელით მოსილ გალადებულ დროშას. მთელ ამ დროის განმავლობაში საფრანგეთი გადადიოდა ხან ერთ, ხან მეორე მმართველთა ხელში. ის ხან ხალხის წარმომადგენელ კონვენტის ტერორ ქვეშ დგრიდა სისხლს, ხან ნაპოლეონის მძიმე ტახტ ქვეშ იზნიქებოდა. ამ ამბოხების ეპოქამ დაასვა ბეჭედი საფრანგეთის იმ დროის ცხოვრების ყველა მხარეს და მასში საფრანგეთის ლიტერატურასაც. ამ ეპოქის მწერალთა შორის თქვენ შეხვდებით როგორც თავგამოდებულ რეაქციონერს, ისე უმწვერვალეს რევოლიუციონერსაც. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ისინი ხშირათ უკიდურესი მო-

წინააღმდეგენი არიან ერთმანეთისა, ერთში კი საერთოთა ყველანი თანხმანი და ერთი აზრისანი გამოდრან. მათ თანაბრათა სძულთ ნაპოლეონი თავისი დესპოტიზმით და ტერორი თავისი სისხლის ღვრით. ამ მწერალთა ჯგუფს, სხვათა შორის, ეკუთვნიან: ფრანსუა-არენე დე-მატობრიანი; ქ-ნი სტალი, მიუსე და ლამარტინი; შატობრიანი, ჩამომავლობით აზნაური, დაიბადა ბრეტანიაში. მამა მისი მეტათ ხასტიკი, მიუკარებელი და ბოროტი კაცი იყო. არც დედა ჩამოუვარდებოდა მას ხასიათში, ისიც მუდამ უკმაყოფილო, დაღვრემილი და გაჯავრებული დადიოდა. შატობრიანს ორივე ხასიათი შერჩა თავის მშობლებიდან. ამისთანა ოჯახში აღზრდილი ისიც მეტის მეტათ ამაყი და გულჩათხრობილი გამოვიდა. არავის ეკარებდა და არავის ეკარებოდა. მხოლოდ ერთი არსება, რომელიც იმისებრ პირობებში იყო ჩაყენებული, ჰყავდა შატობრიანს თავის გულის პასუხის გამზიარებლათ. ეს იყო მისი და ლიუსი. ამაყი და გულჩათხრობილი შატობრიანი ჯერ ისევ პატარაობაში ხშირათ ოცნებობდა სხვა-და-სხვა საგმირო საქმეებზე და სახელის მოხვეჭაზე. პირველათ ის შევიდა ზღვის ჯარში აფიცრათ, მაგრამ ამ სამსახურს მალე დაანება თავი, რადგანაც მის დისციპლინას ვერ შეეგუა. შატობრიანის ამაყი ბუნება. შემდეგ მას ამზადებდნ სასულიერო წოდებისათვის, მაგრამ შატობრიანმა არც ეს ინდომა და ასე ვერ შეუთანხმა რა ცხოვრების მოთხოვნისთვის ხასიათი, მან გადასწყვიტა თავის მოკვლა. ბოლოს, როგორც იყო, ის დაემორჩილა ოჯახის გადაწყვეტილებას და შევიდა აფიცრათ ჯარში. როგორც გამომჩენილი გვარის აზნაური, ის აქ მალე დაწინაურდა და დაუახლოვდა ლიუდოვიკ XVI-ს სასახლეს. ორი წლის შემდეგ იფეთქა რევოლიუციამ. გაუქმდა ტახტი, გაუქმდა პრივილეგიები და მასთან ერთათ აზნაურობაც. შატობრიანი გამოვიდა სამსახურიდან. აი აქედან, ე. ი. 1790 წლიდან, იღვიძებს შატობრიანში ის გრძნობები, რომელნიც შემდეგში მან პოეზიის კალაპოტში ჩამოასხა თვის მოთხრობა „ატილაში“. ხალხზე და ცხოვრებაზე უკმაყოფილო შატობრიანი ოცნებობს ბუნებაზე, ამერიკის უდაბურ, ატეხილ ტყეებზე, გარეულ ხალხზე. ნამდვილიდან გამწარებულს, საფრანგეთის მოუსვენარ ცხოვრებისაგან მოღლილს, მას სურს იპოვოს ნამდვილი სიტკბოება და მოსვენება ამ გარეულ ხალხში, რომელიც მან ოცნების შარავანდელით მოჰფინა. ის ასეც იქცევა და მიდის ამერიკაში. რამდენსამე ხანს ცხოვრობს გარეულ ხალხთან. და აი აქ შეადგინა მან გეგმა თავისი ორი მოთხრობისა, რომელთაგან ერთმა, სახელდობრ «ატილამ» მალე მოუპოვა მას დიდებული მწერლის სახელი. თვის თანამემამულეებში. ამ მოთხრობაში აწერილია ცხოვრება გარეულ ხალხისა, მაგრამ იგი მხოლოდ ოცნებაა ავტორისა და სინამდვილესთან არავითარი კავშირი არა აქვს. მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში საფრანგეთის იმ ქარიშხლიან დროს, და მეორე მხრივ ამ მოთხრობაში გამოყვანილ გარეულ ხალხის ცხოვრებას, მორთულს სხვა-და-სხვა შენიერებით, სავსეს იდილით, რასაკვირველია, ავტორის ოცნების მიერ, ადვილი წარმოსადგენია რათ მიპყრო მოქანცული თვალის საფრანგეთის საზოგადოებაში ამ მოთხრობას და რათ მოდიოდა იგი აღტაცებაში შატობრიანით.

სრულებით წინააღმდეგს წარმოადგენს შატობრიანის თანამედროვე მწერალი ქალი ანა-მარია-ჟერმენე ნეკერი, შემდეგში ქ-ნი სტალი. იმ დროს, როდესაც შატობრიანი თავის მისტიკურ ოცნებაში ეძებს დაკმაყოფილებას, ქ-ნი სტალი თვის მდიდარ სალონიდან თვალს არ აშორებს საფრანგეთის აფორიაქებულ ცხოვრებას და თვისი მძლავრი გაბედული ხმით აძლევს თანაგრძნობის ბანს რევოლიუციის ქარტეხილს. მთლათ მისი ცხოვრებაც ერთ დიდ ქარიშხალს წარმოადგენს. ქ-ნი სტალი დაიბადა ქ. პარიჟში 1766 წელს. მამა მისი იყო შესანიშნავი ფინანსისტი და ექირა პირველი მინისტრის ადგილი რევოლიუციის პირველ დღეებამდე. დედა მისი ნიჭიერი ადამიანი იყო, მაგრამ მეტის მეტათ მშრალი და პედანტიური ხასიათისა, ზრდიდა შვილს სალონური ეტიკეტით. მაგრამ პატარა სტალის ბუნება ვერ შეეთანხმა თავისუფლების შემხუთველ ფორმალიზმს. მას წყუროდა ცხოვრება, ხალხი, ბუნება. ის ჯერ ისევ ყმაწვილი აკვირებდა თავისი მახვილი გონებით იმ დროის შესანიშნავ პირებს, რომლებიც ხშირათ იკრიბებოდნ მისი მამის სახლში. ჯერ ისევ ხუთმეტი წლისამ დაწყდა წერა. პირველი მისი მოთხრობა არის „მორმორანსი“, რომელშიაც აწერილია უბედური სიყვარული. ეს არის თვით ქ-ნი სტალის პირველი სიყვარულის ისტორია. 1786 წელს ის დედის სურვილისამებრ მისთხოვდა შვეციის ელჩს ბარონ სტალს. რევოლიუციის წინა დღეებში ქ-ნი სტალმა გამოსცა მეორე თავისი ნაწერი. ამ წიგნში ის სიხარულით ეგებება წოდებათა წარმომადგენლების კრებას და გამოთქვამს იმედს, რომ საფრანგეთი მათის მეოხებით მიახწვეს სისხლის დაუნთხველათ თვის მიზანს ხალხის კეთილდღეობისთვისო. მაგრამ, როგორც ვიცით, მისი იმედი არ გამართლდა და რევოლიუცია ვერ მოთავსდა ამ მის მიერ ნაჩვენებ წყნარ კალაპოტში. მალე თვით ქ-ნი სტალი იძულებული შეიქნა გაქცევით გადაერჩინა თავი და 1792 წელს ის გაიპარა ინგლისში. როდესაც ჩადგა პირველი ქარიშხალი საფრანგეთის რევოლიუციისა და სახელმწიფოს მართვა-გამგეობა დაიწყო დირექტორიამ, ქ-ნი სტალი დაბრუნდა ისევ პარიჟში. აქ კვლავ ჩაერია ის საფრანგეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში, და იმდენათ დიდი გავლენა ჰქონდა მასზე, რომ დირექტორიის პირველმა კონსულმა ნაპოლეონ ბონაპარტემ დაინახა ქ-ნი სტალი თვისი საშიში მეტოქე და მტერი. ამ მტერს მოშორება უნდოდა თავიდან და ნაპოლეონის ბრძანებით ის კვლავ გააძევეს საფრანგეთიდან. ქ-ნი სტალი, გულ-მოკლული პარიჟის დაშორებით, მიდის გერმანიაში, საცა მას ფეხ და დეხ სდევნ ნაპოლეონის ჯაშუშები. გერმანიაში ეცნობა ის იმ დროის შესანიშნავ ნემეცების მწერლებს შილდერს, გიოტეს, შლეგელს და სხ. შემდეგ აქედან ის მიემგზავრება იტალიაში ძველი ენების შესახწავლათ. მაგრამ სამშობლოს დაშორება მაინც არ აძლევს მას მოსვენებას. ის მიდის კვლავ საფრანგეთში და ცხოვრობს ერთხანს პარიჟის ახლოს ორმოცი მილის მანძილზე. აქ ისევ ძველებურ ნაცნობთა წრეები, კამათი პოლიტიკურ და სოციალურ საგნებზე და გატაცება ლიტერატურით. ამ ხანში მან გამოსცა თვისი შესანიშნავი მოთხრობა «კორინნა». მაგრამ ნაპოლეონს არ შეეძლო აეტანა ვისიმე ქება-დიდება, თუ თვითონაც მონა-



წილებს არ იღებდა მასში და ამ მოთხოვნამ კი ქნი-
სტალი აიყვანა მწერლობის უმწვერვალეს დიდებულად,
რისთვისაც ის კვლავ შეიქმნა იძულებული გასცლოდა
საფრანგეთს და წავიდა ისევ გერმანიაში. ახლი უფრო
სავსებით და უკეთესათ შეისწავლა მან გერმანიის ფი-
ლოსოფოსები, ლიტერატურა, ზნე-ჩვეულება და საზო-
გადოებრივი ცხოვრება. აქედან ის მთავრობის ნებართვით
კვლავ უახლოვდება პარიზს რამდენიმე მილის მანძილზე,
რათა თვალ-ყური ედევნებინა თავისი წიგნის ბეჭდვისა-
თვის, რომელიც ცენზურამ გაატარა თვისს ბრქვალეში
და დაამახინჯა საზარელათ. მაგრამ არც ეს დამახინჯე-
ბული გადაურჩათ ნაპოლეონის ერთგულ მონებს და ათი
ათასი ეგზემპლიარი უკვე დამზადებული გამოასვლელათ
ქანდარმებმა აკუწეს სტამბაში. ეს იყო თხზულება „გერ-
მანიის შესახებ“. როგორ აიტანდა გულ-ზვაფი ნაპოლე-
ონი წერას „გერმანიის შესახებ“, როდესაც მისი სიამაყე
მთელ მსოფლიოს მხოლოდ თვის მონა-მორჩილათ თელი-
და. ხოლო შემდეგში ამ წიგნმა დიდი სამსახური გაუწია
საფრანგეთის ლიტერატურას. ამ წიგნის გამოსვლით იწყე-
ბა ახალი ხანა საფრანგეთის მწერლობაში, ამ წიგნმა შე-
ამტვრია მიჯაჭვული კარი საფრანგეთის ლიტერატურისა,
დაახანა მას თვისი სილატაკე აკადემიური და ბიუროკრა-
ტიული მიმართულებით და ამოაშუქა პირველი სხივი მე-
ცხრამეტე საუკუნის ნორჩი ლიტერატურისა. ამ წიგნის
აკუწვის შემდეგ ქნი სტალი ერთი-ორათ შეავიწროვა
პოლიციამ. არავის შეეძლო მასთან მისვლა და თვით მა-
საც არ შეეძლო გასცილებოდა პატარა აგარაკს, სადაც
ისა ცხოვრობდა. ეს მეტი იყო, ვიდრე ციხეში დამ-
წყვდევა და მან მოიწადინა როგორმე გაპარულიყო სა-
ფრანგეთიდან. მთელი ნახევარი წელიწადი ექირა მას ევ-
როპის ქარტა ხელში და ეძებდა თავსახსნელ გზას. ბო-
ლოს, როგორც იყო, მოახერხა და გაიპარა ის ვენაში,
საიდანაც გაემგზავრა რუსეთისაკენ და მივიდა პეტერ-
ბურგში. ეს მოხდა 1812 წელს, როდესაც თვით ნაპო-
ლეონიც რუსეთში შემოაუძღვა თვის ძლევა-მოსილ ჯარს.
ოთხი წლის შემდეგ, როდესაც თვით ნაპოლეონი შეი-
ქმნა გაძევებული საფრანგეთიდან, ის ბრუნდება კვლავ
პარიზში და 1817 წელს კვდება თვის საყვარელ ქალაქში.

კავკასიის გამოყენა.

II. მელვინოზა.

სანამ მეორე განყოფილების აწერას დავიწყებდეთ,
საჭიროთ მიმაჩნია მოგახსენოთ, რომ გამოყენაში დიდი
ყურადღება ექსპონატების გარეგან მორთულობას ექცევა
ხოლმე. ასე რომ კარგი ღირსება და კარგი მორთულო-
ბა თითქმის თანასწორი ძალაა. შეგიძლიათ რაიმე უბრა-
ლო საგანი ისე ოსტატურათ დააწყოთ, რომ საზოგადო-
ების ყურადღება დაიმსახუროთ. როდესაც გამოსაფენი
საგნები ერთმანეთისაგან გარეგნულათ არ განსხვავდები-
ან, ამ შემთხვევაში ხომ ერთათ ერთი საშუალება ყუ-
რადღების მიპყრობისა იმათი დაწყობა-დალაგებაა. ამი-
ტომაც არ ზოგვენ არც ფულს და არც ფანტაზიას,
ოღონდ კი მიზანს მიადწიონ.

მეორე განყოფილება მელვინოზისაა. ჩვენი ქვეყანა
მთელ თავის სიგრძე-სიგანეზე მელვინოზის რაიონია.
იმისი ყოველი კუთხე ცოტათ თუ ბევრათ მისდევს მეუ-

რნეობის ამ დარგს. ჩვენი მეურნეობის ნაწარმოებთა შო-
რის, რომელიც გააქვთ შიდა რუსეთში და საზღვარ-გა-
რეთ, ღვინოს საბატო ადგილი უჭირავს. კახურმა ღვი-
ნომ, მიუხედავათ ათასგვარ გადამახინჯებისა და ფალსი-
ფიკაციისა, რომელსაც უმთავრესათ რუსეთში მოვაჭრე-
ები შვრებიან, საბატო სახელი დაიმსახურა და ბაზარიც
მოიპოვა. ყველა ამავის შემდეგ უფლება გვქონდა გვე-
ფიქრა, რომ ეს განყოფილება, ყოველი მხრით სავსე და
საყურადღებო იქნებოდა. ახლა კი თვალის გადავავლოთ
ექსპონატებს.

პავლიონის შუაზე ჩამწკრივებულია ერთი წყობა
ლამაზ-ლამაზი შკაფებისა, ბოთლებით გატენილნი. გვერ-
დებზედაც აქა-იქ ჩადგმულია უფრო მომცრო შკაფები.
როგორც ზევით მოგახსენეთ, პირველი საქმე დაწყობაა
ან შკაფი, თორემ ყველა წითელი ღვინო ბოთლში წი-
თლათ მოჩანს, თეთრი კი—თეთრათ. აი კიდევაც ზოგი-
ერთი ბოთლი თავდაყირა დგას, ზოგი დაწვენილია, ზო-
გი წაფერდებული, ზოგიც სწორეთაა გაჩერებული, ზო-
გი დილია, უზარმაზარი, ზოგი პატარა, პაწაწკინტელა
და ასე ამგვარათ ყველა ცდილა რაიმე ორიგინალური
შექმნა, ბნ- თერაძისა არ იყოს. თუ რა ღირსების სი-
თხე არის ამ ლამაზ ბოთლებში, იმას ვერ გეტყვით, ამი-
სათვის ცალკე რჩეულთა გუნდი არსებობს, ხოლო მე
შინაგანი ღირსების მიუხედავათ ჩამოვთვლი.

პირველი შკაფი ძმ. გუმმელებისაა, თეთრი და წი-
თელი ღვინოებით სავსე. იქავ დგას რამდენიმე ბოთლი
კონიაკი. ცოტა ქვემოთ დგას სტეფანოვის და ბეგიჯა-
ნოვის ღვინოები. დასწვრივ შეგხედებათ ანდრონიკოვის
და ამხ. «მელაანი». ლამაზათ მორთულია. გამოფენილია
სხვა-და-სხვა ღვინოები 1897—1900 წლამდე. იქავ გვერ-
დზე მიდგმულია სულხანოვის ღვინოები 1895—1899
წლამდე. მას მსაპყვება ტარასოვის ღვინოები „ველისცი-
ხე“. გამოფენილია საფერავი, რქაწითელი და რამდენიმე
უსახელო ბოთლი. უნდა შევნიშნოთ, რომ ხშირათ ღვი-
ნოებს არც სახელი აწერიათ, თუ რომელი ყურძნისაგან
არის გაკეთებული, არც წელია აღნიშნული, თუ რო-
მელ წელშია დაყენებული, და არც ის, თუ რა ფასში
იყიდება.

ყურადღებას იქცევს მაკაროვის ღვინოები, ანუ უკეთ
რომ ვთქვათ, მორთულობა. თუ გამოკიდულ ჯილდოებს
დავუჯერებთ, ღვინოები „უთუოთ“ კარგები უნდა იყვენ.
იარლიკებზე იმდენი ქებაა მოთავსებული, რომ არც სა-
ხელისთვის, არც წლოვანებისთვის და არც ფასისათვის
ადგილი არ დარჩენია.

შემდეგ მოდის ტერ-არუთინოვის „რუსისპირის“ ღვი-
ნოები 1898—1899 წ. ქვევით კოლელოვის, საინოვის,
ოვანოვის, კუზანოვის და ავალიანის. კახტათ მორთუ-
ლია კირაკოზოვის შკაფიც. ძლიერ ლამაზათაა მოწყო-
ბილი ჯორჯაძისა და კახეთის მემამულეთა ვიტრინები.
იმათ მისდევს ლუარსაბოვის, ისაკოვის, მელიქ-შახნაზა-
როვის, ტაგიანოვის და კურდღელოვის შკაფები.

ზემოხსენებულ პირებს, როგორც უწინ მოგახსე-
ნეთ, უდგათ თავიანთი საკუთარი შკაფები. ახლა კი ჩა-
მოვთვლი იმ ექსპონენტებს, რომელთა ღვინოებიც საზო-
გადო თაროებზე აწყია: ქელიძე, ლეყავა, იმედაშვილი,
ლულუაშვილი კოსტავა, ფურცხვანიძე, ავალიანი, ტი-
ბო (ეს უკანასკნელი კონკურსს ვარემეა), გოცალაძე,

ჩიხლაძე, ჩიხიძე, თუთბერიძე, ალექსანდროვი, ხითაროვი, პაუნოვი, ტერ-გოგოსიანი, ვაჟიკოვი, კნ. თარხანოვისა, სააკოვი, ტატუხოვი, მიკირტუმიანი, მაჩაბელი, ბერთავეშვილი, აივაზოვი, კობიცი, ჩელოკაევი, ბარატოვი (ეს გვარები უთუოთ ჩოლაყაშვილი და ბართაშვილი უნდა იყოს), დოლინსკი, არუთინიანი, მელიქ ბაბახანოვი, კონონენკო, აფრიკიანი, იუსუფოვი, პეტროსიანი, ვიშნაძის მონასტერი, ნავასარიანი, სტამბულოვი, ოვაკიმიანი, ტერ-ჟაუიანი, ახნაზაროვი, ათანასიანი, ჯაბაროვი, სარქისოვი, თუნიევი, ვლასოვი, პრიგოროვსკი, ვალკოვი, სკიტლიაგინი, დიდი მთავარი ნიკოლოზ მიხეილის ძის მამულებიდან, დე-ბურის, კაშინი, ანდრეევი, ლეონტიევიჩი, კლიუი, გეიდუჯი, პენჩული, ოგანეზოვი, კესლერი, ბაგრაძე, ცაიხერი, მიკირტუმიანი, გრიგორიანი, მიკირტიევი, აგრეთვე წინამძღვარიანთ-კარის სკოლა და საუფლისწულო მამულები. უმთავრეს პავლიონის გარეთ აქვთ მარტო ფრიდონოვს და ფორეს.

ამავე განყოფილებაში აწყვია საფრანგეთიდან გამოწერილი სხვა-და-სხვა მეღვინეობისათვის საქირო იარაღები. ზოგი მათგანი ნამდვილი სისხლისა, ზოგის კი მოდელი. როდესაც რიგიანათ გასინჯავთ ერთ მეტათ რთული მანქანის მოდელს და ჩვენ საწინახელ-საქაჯავს შეადარებთ, ნათლათ წარმოიდგენთ, თუ რა შორს არის ჩვენი მეღვინეობა ჩამორჩენილი. როგორც ვამბობ, მარტო მოდელი ამ მანქანისა დამჯდარა ოთხი ათას მანეთზე მეტი. მოდელს გარდა წარმოიდგენილია სხვა-და-სხვა ნაირი ფილტრები (ღვინის დასაწმენდი მანქანა), ეგრეთ წოდებული ეგრეზუარი, რომელიც მტვენებს მარცვლავს და დამარცვლულს ქულეტავს ორ ღერძს შუა. აქვეა პრობკის დასაცობი, კაფსულების ჩამოსაცობი და ბოთლების გასარეცხი მანქანებიც. არის ღვინის გადასაღები პომპები, კრანები, მაკრატლები, სამყენი მაშინა, საორთქლე ქვაბი და სხვ. იქვე ახლო დგას ყურძნის საქაჩავი «მოხილის» ფირმისა. საუფლისწულო მამულს წარმოუდგენია შვენიერი მუხის ბოჭკები სხვა-და-სხვა სისხლისი.

მიუხედავად ზემო აღნიშნული საგნებისა, უნდა გამოვტყდეთ, რომ ეს ნაწილი განყოფილებისა ძლიერ სუსტობს; ბევრი ისეთი უბრალო იარაღები აკლიათ, რომლებიც აუცილებელ საქიროებას შეადგენს ყოველი რიგიანი ღვინის სარდაფისას.

აგრეთვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ვერავითარ სტატისტიკურ ცნობას ჩვენი მეღვინეობის შესახებ სანთლით რომ ეძებოთ ვერ შეხვდებით.

მეღვინეობასთან ერთად მევენახეობაზედაც მოვილაპარაკოთ. თქმა არ უნდა, რომ კარგი ყურძნისაგან კარგი ღვინოც დადგება. მოვიხსენიოთ, თუ ვის რა ჯიშის ყურძნები გამოუფენია. საუფლისწულო მამულების მდიდარი კოლექცია შემდეგი ჯიშებისაგან შედგება. კროპიუღი: თეთრი შასლა, პედრო ხიმენეს, კაბერნე, პორტუი ბლო, პინო შარდანე, რისლინგ, სემილიონ, დოდრელიაბი, ჩაუშ, ალბურლა, ვარდისფერი შასლა, ალექსანდრიის ბუსკატი, კოკურ და გრუბელა. ადგილობრივი: რქაწითელი, საფერავი, ბუერა, თავკვერი, შავი და თეთრი თითა, ვირ-ყურძენა, მცვივანი, ცობენური, ნაცარა, გრძელმტევანა, ბუდეშური, ხიხვი, ელია, მწვანე და სხვ.

საყურადღებო კოლექცია აქვს გამოფენილი წინამძღვარიანთ-კარის სკოლას. აქაც ევროპული და ადგილობრივი ჯიშებია, მაგრამ, როგორც ჩანს, ამოურჩევიათ და გაუშენებიათ მხოლოდ ისეთები, რომელნიც მართლაც გავრცელების ღირსნი არიან. გამოფენილია: კაბერნე, პედრო ხიმენეს, რისლინგ, მადერა, სემილიონი, შავი და თეთრი მუსკატი, თეთრი პინო და მრავალი ადგილობრივი ჯიშები. შვენიერია ბ-ნი შელკოვნიკოვის და ოგანეზოვისაგან გამოფენილი ყურძნები.

დასასრულ რამდენიმე სიტყვა საქარის სანერგის შესახებაც. მას შემდეგ, რაც ჩვენ მხარეს ფილოქსერა შემოეკვდლა, მევენახეობა და მასთან ერთად მეღვინეობაც დიდ გასაჭირში ჩავარდნ. განსაკუთრებით ქუთაისის გუბერნიის მეღვინეობა უკანასკნელ წერტილამდის ჩამოიყვანა. აი ამ გასაჭირიდან გამოიყვანა ხსენებული რაიონი საქარის სანერგემ. თავისი ამერიკული ვაზებით ნელ-ნელა მოიპოვა ხალხის ყურადღება და ნდობა. ახლა ჩვეთვლიერათ, თუ როგორ უმატნია ნამყენი ვაზის მოთხოვნილებას და გაშენებული ადგილების სივრცეს:

წლები.	რამდენი ძირი ვაზი გაყიდულა.	ფასი. მან.	კაპ.	სივრცე ვაშენებული ადგილებისა.
1895	18,830	68	50	— დეს.
1896	122,104	976	64	— „
1897	138,470	1636	91	11 „
1898	287,052	3045	42	24 „
1899	542,131	5351	04	50 „
1900	810,554	7143	40	140 „
1901	—	—	—	201 „
სულ	1.919.141	18221	91	426 „

ცხადია, რომ ამ მხრივ საქარის სანერგეს დიდი საზრებლობა მოუტანია, მაგრამ მარტო ვაზების გავრცელებაში არ არის მისი მნიშვნელობა. საქმე იმაშია, რომ ამ დაწესებულებას და ფილოქსერას უნდა ვუმადლოდეთ იმასაც, რომ ახლათ გაშენებული ვენახები ევროპულათ არის დარგული და მოვლაც რიგიანი აქვთ. რომელი გლეხი გადაგიბარავდათ მიწას ერთ არშინზე და ზედ რიგით ვაზებს ჩაგირგავდათ?! მაგრამ ამერიკულ ვაზს ასე უნდაო და რას იზამდა. ახლა თითონაც იცის, თუ რა ადვილი მოსავლელი ყოფილა რიგზე ჩარგული ვაზები და კიდევ რომც გაუპირდეთ. არეულათ ვაზს ვეღარ დააგვევინებთ.

აქვე მოვიხსენებ საუფლისწულო მამულებისაგან წარმოდგენილ სეტყვის ზარბაზანს „მორტირას“. ეს უკანასკნელი წარმოადგენს კარგა მოზრდილ ძაბრს, სიმალით 1¹/₂ საყენამდე, ის დგას სწორა. განიერი ნაწილი მალა აქვს მიქცეული. მოწყობილობა სულ უბრალოა და ყველა მნახველს შეუძლიან გაიგოს. კაცთა საწყვეტ ზარბაზანს არაფრით არ ჩამოჰგავს. გაიტენება მარტო წამლით. მოქმედება მისი მდგომარეობს იმაში, რომ არყვეს გაჩერებულ პაერს, მოძრაობაში მოჰყავს. როგორც ცდამ დაამტკიცა, მორტირების ხმას სასურველი შედეგი ჰქონია. იმ ადგილებში, სადაც ზარბაზნების ძალას უმოქმედნია, სეტყვა წვიმით ქცეულა, ხოლო ნაპირებისაკენ წერილი სეტყვა მოსულა და უფრო დაშორებულ ადგილებში კი ნამდვილი სისხოსი. იმედია ჩვენი მემამულენი ამ საყურადღებო მაგალითს მიჰბაძავენ.

(შემდეგი იქნება)



ქართული თეატრი.

წარსულ ხუთშაბათს, 12 ამ თვეს, დაწყდა ქართული წარმოდგენები სათავად-აზნაურო თეატრში. წარმოდგენეს ვ. გუნიას მიერ გადმოკეთებული 4 მოქმედებისანი დრამა „ციხის საიდუმლო“ და ვოდვეილი სუნდუკიანცისა „სალამოს ერთი ცვირი ხეირია“. გადმოკეთებული დრამა ავტორს სდომებია შეფერადებინა ქიზიყის ცხოვრებისთვის და მისი ისტორიული წარსულიდან (პატარა კახის დროს) ეჩვენებინა მაყურებელთათვის ქიზიყელთა თავდადება და მათი სიგმირე ომში სამშობლოს გულისათვის. ჩვეულებისამებრ, როგორც ყველა ჩვენ ისტორიულ დრამებში, ბევრი იყო სცენაზე ომში დაჩენილი და სცენის გარეთ დაღისტის მთებში სისხლის ღვართქაფები, მაგრამ ყველა ეს შეიძლებოდა მომხდარიყო არამც თუ ქიზიყში, არამედ სპარსეთშიაც, საფრანგეთშიაც და სხვ. ერთი სიტყვით, აქ ქიზიყური არა არისრა, გარდა იმისა, რომ დრამის პირველი გმირი ჯარის სარდალი ვაჩნაძე (ვ. გუნია) წამლაუწუმ გაიძახის მე ქიზიყელი ვარო. ნულარას ვიტყვით დრამის სხვა მომენტებზე, რომელნიც მთლათ მოკლებულნი არიან ყოველგვარ ფსიხოლოგიურ საფუძველს და ისტორიულ სიმართლეს.

რაც შეეხება მსახიობთ, უნდა ვთქვათ, რომ ყველანი ერთობ კარგები იყვნენ. ვ. გუნია, რამდენათაც კი შეიძლებოდა, განახორციელო სარდალ ვაჩნაძის როლი, ბ-ნმა გამყრელიძემ შესაფერათ დაგვიხატა ვაბრძნობილი, ქირისა და ლხინის ერთგვართ ამტანი და დარბაისელი ქართველი სარდალი ჯანდიერის როლში. საუცხოვო იყო შათირიშვილი, სიყვარულში ბრმა და წინ დაუხედავი, ხოლო ომში კი გალომებულ უშიშარ ვაჟაკის როლში. ბ-ნ გედევანოვს, როგორც ყოველთვის, თავისი ადგილი ეჭირა. ბ-ნ სვიმონიძეს მეტის-მეტ მღელვარებისაგან, რაც მის უკურნებელ სენს შეადგენს, ხშირათ ერეოდა ენა და ვერ დახატა სავსებით მკვირცხლი გურულის ბატონიშვილი დადიანის როლი.

დებიუტანტკა ქ-ნი ლეჟავა, ჩვენი აზრით, არა თამაშობდა თავის ნიქთან შეფერებულ როლს. მაინცა და მაინც მისმა თამაშმა ქცევამ, მელოდიურმა ხმამ და გონივრულათ სცენაზე თავის დაქვრამ დაგვარწმუნა, რომ ქ-ნი ლეჟავა ჩვენი სცენისათვის სასარგებლო მსახიობი დადგება, რასაკვირველია, თუ იგი გაჰყვა თავისი ნიქის შესაფერ როლებს. არა უჭირდათ-რა დანარჩენ მოთამაშეთაც.

რაც შეეხება ვოდვეილს, მეტი იქნება ყოველთვის ვაქოთ უკვე ყველასათვის ცხადზე უცხადესი ნიქი ბ-ნ ვ. აბაშიძისა და ქ-ნ ვ. ვაბუნია-ცაგარლიას, მეტადრე სომხის როლებში. ამ საღამოსაც მათ დიდათ ასიამოვნეს დამსწრე საზოგადოება. არა ნაკლებ საუცხოვო იყო ბ-ნი აწყურელიც ახალგაზდა ბაზაზის როლში. სამწუხაროთ, ხალხი ძლიერ ცოტა დაესწრო, რისთვისაც საყვედურის ღირსია ქართველი საზოგადოება.

მელომანი.

კავკასიის მებაღეთა კრება.

კავკასიის მებაღე-მეურნეო კრება თფილისში გაისსნა 9 სექტემბერს ბ-ნ სულტან-გრიმ-გირეის თავმჯდომარეობით. პირ-

ველ სსდომასე სიტყვა წარმოთქვა სსკავთა შობის მიწათ-მოქმედების სამინისტროს წარმომადგენელმა იანუკვიამ, რომელმაც ილაშქრა მეურნეობის განვითარებაზე და აგრეთვე სსკავ-სსკავ სსშუაღებაზე მეურნეობისათვის მახებულ მწერებთან საბრძოლველათ. პირველ სსდომასე კრებამ შეიმუშავა ის წესი, თუ როგორ უნდა განხილდნ მეურნეობის თითოეული დარგი ამიტომ კრება გაიყო 8 სექციით.

მეშვიდე და მეექვსე სექციას უკვე ჰქონდა სსდომა, პირველს 10 და მეორეს 11 სექტემბერს. მეშვიდე სექციამ მოისმინა მოსსსკავის ჩქვის სსუგელისწულთა მამულის აჯრონომის დაადგენისა. მასხვნების აჯრონომის აწმდით, საღსში სამეურნეო ცოდნის განსავრცლებლათ ერთ სსუგელის სსშუაღებათ უნდა წაიოჯალას, თუ კრმა სსოგელის მეურნეთ სსუგელისათ გასსსნან სამეურნეო სსოგელს 2 ან 3 წლის ვეწისათ მცოდნე და გამოცდილ მეშვიდის მოსამსჯებლათ. თუ ეს მეშვიდე სსში წლის სწავლის შექვევ კვზამენს დასკურენ რომელსამე სსში წათ-მოქმედო დაწესებულებაში, ამ შემთსვევაში იმათ წილდოთ მიეცემათ 100—200 მანუაშიდე. ამ მოსსსკავში დიდი ვამათი გამოიწვია. უმეტესობა დაეთონსმა ბ-ნ დაადგუმს საზოგადო აწმს, მაგრამ სსქმის უფრო დაწვილებით გამოსარკვევათ აიწმია წალგე კ. მისია.

ამავე სსდომას ტფილისის გუბერნიის სსხალსო სსოგელის ანსსსქტორმ, ბ-მა პურეო-სიოგომა წარუდგინა სსხალსო სსოგელის მასწავლებლთა მოსსსკავისა შემდეგ ვითსკებზე: 1) შესადლებლათ თუ არა სსხალსო სსოგელის შემწობით სსღსში სამეურნეო ცოდნის გავრცლება; 2) რა მდგომარეობაშია ამ ვამათ სსხალსო სსოგელის სამეურნეო განყოფილებაში, 3) რა პირობებში უნდა იქმენ ჩაუკებულნი სსხალსო სსოგლები, რომ შესაფერო ნყოფი მოუწახონ სსღსს; 4) რაში უნდა გამოისტოს სსრგებლთა სსხალსო სსოგელის სამეურნეო განყოფილებების; 5) რა დაწმინდება უნდა ჰქონდეს სსმეურნეო მექობანს სსხალსო სსოგლებში და 6) რას უჩვენებენ სსვედალისტს სსოგელის სამეურნეო განყოფილებათ ექსპონატები.

მასწავლებლთა მოსსსკავისა ამ ვითსკების შესასებ იმაში მდგომარეობენ, რომ იმათ აწმით ძლიერ სსხარგებლო იქნება სსხალსო სსოგელთა სამეურნეო განყოფილება დაწმინდეს. კრებამ ეს მოსსსკავისა მოიწონა პრინციპიალურათ და მცროდენა ცვლილებით ვადეც მიიღო და დაადგინა: შეამდგომლობა იქმენს აღმარული სათანადო მთავრობის წინაშე იმის შესასებ, რომ სსსეიდელი დაწმინდოთ უკვდა იმ სსხალსო სსოგელის მასწავლებლთ, რომელთაც სსოგელთა განსწინილი ექნებათ სამეურნეო განყოფილება.

11 სექტემბერს, სსდომას სსდომა ჰქონდა მეექვსე სექციას მაგოლოგის, ბ-ნ ვ. იანუკვიას თავმჯდომარეობით. ამ სექციამ განისილა ვრცელი მოსსსკავის თვით თავმჯდომარისა საზოგადოთ მეურნეობის მახებულ მწერებისა და ავადმყოფობათა შესასებ.

შემდეგ თფილისის საბრძოლველ სსდგურის ვაქემი შეგროვმა წარუდგინა კრებას თავისი მოსსსკავისა, თუ რა წაიწათ უნდა იქმენს დაეკებელი მახებ მწერებთან ბრძოლის სსქმე. მომსსსკავის სიტყვით, ამ ბოლო წდრთა თანდათან ძლიერდება სსკავ-სსკავ ვითსკებში ათასგვარი მწერები და ავადმყოფობანი და ახადგურებენ მცენარეულობას. რომ მეურნეობის შემოფერსებულ ვანკობებასთან ბრძოლამ ნყოფი გამოიღოს, სსქმე უნდა მოეწეოს ამანიწათო: პირველათ უნდა დაწმინდეს ისეთი დაწესებულება, რომელიც სსდმდგანგებლობას

გაუწევს უკვლას მანე მწერებთან ბრძოლის საქმეში. უმთავრესი დაწესებულება გაუფიქროს იქნება სამ ბიურკოთ. ეს ბიურკოები დაექვემდებარებიან მიკოლოგს, ენტომოლოგს და ზოოლოგს. თითოეულ ბიურკოსთან უნდა მოეწიოს კაბინეტი, ხოლო კაბინეტთან ბაბლიოთეკაც. კომიტეტს მწერთან ბრძოლის დროს სელმძღვანელთ თითო გუბერნიისში უნდა ეყოლოს თითო მანეტ სპეციალისტი-ინსტრუქტორი. მოსხუნებაში ჩამოთვლილია უკვლას დაწესებულებითი გადებულებანი მწერებთან ბრძოლაში სელმძღვანელ კომიტეტისა. მოსხუნება მცარეადენი კამათის შემდეგ კრებამ მოაწონა და გამოთქვა სურვილი ასეთი დაწესებულების დაარსებისა,

ამ რიგით კომიტეტები კომიტეტებს და კომისიები კომისიებს ემატება, მაგრამ არა გეგონია, რომ ამან საქმეს უშველოს. სხდომები ჯერ კიდევ არ დასრულებულა, და იმედა, რომ რამდენიმე კომიტეტი და ბიურო კიდევ დაარსდება!

ჟურნალ-გასეთებიდან.

ჟურნალ „კავკ. ვესტ.“-ის უკანასკნელი ნომერი (№ 9) თითქმის სულ საქართველოს შეეხება. ერთობ მადლობის ღირსია მისი გამომცემელი, ბ. ვ. ყორღანოვი, რომ ასეთი ყურადღება მიუძღვია მას ჩვენი ქვეყნისათვის. სამწუხაროთ, თვით წერილების შინაარსი ვერ აკმაყოფილებს მკითხველს, რადგანაც საგნები სრულებით ცალმხრივით არიან განმარტებული და შეიცავენ მხოლოდ ზედაპირს. გარდა ამისა აქ თქვენ მრავალ შეცდომებსაც შეხვდებით. ძაგალითისთვის ავიღოთ პატივცემული ა. ხახანაშვილის წერილი ქართულ ლიტერატურაზე, რომელიც მოთავსებულია ამავე ნომერში. ავტორი სხვათა შორის ამბობს, რომ დ. ჯონქაძემ თავის მოთხრობა „სურამის ციხე“ 1847 წელს დასწერა და 1857 წ. დაბეჭდა. ნამდვილათ კი ჯონქაძის მოთხრობა დაიწერა 1859 წელს და დაიბეჭდა პირველათ მხოლოდ იმავე წლის «ციხის» უკანასკნელ ნომერში და 1860 წლის პირველ ნომერში. 1847 წელს კი ჯონქაძე 17 წლის იყო და თფილისის სემინარიაში სწავლობდა. საუბხოვრით მიგვიჩინა აგრეთვე ის ადგილი ბ-ნ ხახანაშვილის წერილისა, სადაც იგი ამბობს, რომ ქართული პუბლიცისტური მწერლობა ვითარდებოდა, სხვათა შორის, ბბ. ბოლქვაძის და ვაშაყიძის ხელმძღვანელობით! ვერ გავივია აგრეთვე, თუ რა სკოლაა ის, რომელიც შეუქმნიათ ქართულ მწერლობაში თავ. ილ. ქავჭავაძეს და აკაკი წერეთელს და რომელსაც, ბ. ხახანაშვილის აზრით, ეკუთვნის: გ. წერეთელი, ეკ. ვაბაშვილისა, ქალაღიღელი, ნ. ლომაური, მ. გურიელი, გრ. აბაშიძე, ევდოშვილი, ნინოშვილი, დუტუ მგერელი, განდგელი! პატივცემულ პროფესორს არ მიეჭევა ყველა აქ ჩამოთვლილ მწერლების ერთ დარჯაკში მოთავსება.

წერილი რედაქციის მიმართ.

ქ-ნო რედაქტორო! უმორჩილესით გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენ პატივცემულ გაზეთის უმსჯობელს ნომერში ამ წიგნს. 26 აგვისტოს, მამახიმის გარდაცვალების შემდეგ შესამე დღეს ექამ ტრიანტაფილიდისგან მიღებული ავადყოფობის ცნობა გაკატანე ჩემ მეგობარს დომენტი ვადაცკორას, ხათუმის ქალაქის ექამ ელიავასთან, რათა დაემოწმებინა მას და წარმედგინა სადაც ჯერ იყო. მამა ჩემს ავით გასდომის დღი-

დან გარდაცვალებამდის წამლობდა ექ. ტრიანტაფილიდისთან. თურმე ბ-ნ ელიავას ექ. ტრიანტაფილიდისთან დიდი წესისით უთანხმოება ჰქონია, რაც მე არ ვიცოდი. ჩემმა მეგობარმა მისულისთანავე თხოვა ექ. ელიავას, რომ ექ. ტრიანტაფილიდისგან მოცემული ცნობა დაემოწმებინა. ექ. ტრიანტაფილიდისგან ელიავას თითქო თავ-ზარი დაეცაო. — ვინ ხარ შენ! შეგუიროს ბ-ნ ელიავამ ჩემ გაზავნილ მეგობარს. რის დამოწმება! ვინც ეს ცნობა მოგცა მანვე დაემოწმოს მე არ ვამოწმებ! ჩემი ნება! ავთიმყოფობის დროს ტრიანტაფილიდისი და სიკვდილის დროს ელიავას მიერ მეუქმით დამოწმება! არ დავამოწმებ, არა, მე ეგრე მსურს. ამ დროს ელიავამ დაუქმდა ლაქიას, რომელიც კარებში გამოხნდა. — რათ შემოუშვი ეს აქ, გააგდე ახლავე, ან ესლავე ზოლიციელს დაუქმსო. ლაქია გაუნძრევლათ იდგა. შემდეგ ჩემი მეგობარი, მოსმინა რა ექიმისგან ამგვარი უშუალო სიტყვები, მიუბრუნდა მას და ვითხა, თუ რათ ვაწურობდა ან რისთვის ეძინდა ზოლიციელს კარში გასაგდებათ. ამ ლაზარკას ექ. ელიავამ არავითარი უურყვადლება არ მიატყდა, შევიდა მეორე ოთახში და მიისურვა კარები. დაჩნა იქ ლაქია, რომელმაც აუხსნა ჩემ მეგობარს, რომ ექიმში დასამინებლათ წავიდა და ამიტომ ლოდინი ამოცაო. ამის შემდეგ ჩვენ იმულებული შევიქნით ბ. ელიავასთან მიგვეკვინა ერთი წარჩინებული ზიარი, რომლის გწიბლება მს არ შეკმლო და მართლაც შეამოწმებდა ის, რაც საჭირო იყო. ახლა. ბ. ექიმს ვკითხავ: სად გქმნათ საჭიროების დროს უკვლავის წარჩინებულნი ზიარნი? უკვლას სამ წარჩინებულნი ზიარები არა უკვს ნაცნობებათ? როგორ უნდა მოეჩქვით ამ შემთხვევაში, ბ-ნო ექიმო, გთხოვთ გავკავებოთ.

ალიოზ სიმონის ძე თურვანდოვი.

ქ ბათუმი 1901 წ. სექტემბერი 8.

«კვალის» რედაქციის სკან.

ვაცხადებთ სელის მომწერთა საუურადლებოთ, რომ ვისაც ხვედრი ფული არა აქვს შემოტანილი მოძავალ ნომრიდან «კვალი» აღარ გაუკვავნება.

რედაქტ.-გამომც. ან. თ.-წერეთლისა.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი.

ქართული თეატრი

გვირას, 16 სექტემბერს 1901 წელს

ქართული დრამატული საზოგადოების დასის მიერ
მ. ჩიქოვანისა და ბ. ლანდის სადებიუტოთ
 წარმოდგენილი იქნება

ნ ა ც ი ო ს ნ ე ბ ა

კომედია 4 მოქმ., ოხზ. ზურმანისა, თარგმ. ახანაზროვისა.

მონაწილეობენ: ქალბატონნი: გაბუნია-ცაგარლისა, კარგარეთელი, ლეჟავა, ვარელი, აფხაზიშვილი, ჩიქოვანი; ბატონნი: აბაშიძე, გუნია, სვიმონიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, ლანდი, იმედაშვილი, სარჯველაძე, ურუშაძე მირიანაშვილი და სხვ.

დასაწყისი 8 საათზე. ფასები ჩვეულებრივია.

რეჟისორი გ. აბაშიძე

ნზადდება სუნდუკიანცის 3 მოქ. კომედია „დაქვეული ოჯახი“. შემდეგი წარმოდგენა ხუთშაბათს, 20 სექტემბერს.